7452 11364

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 29 (1364)

3-9 სექტემბერი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის მერის, ბატონ თემურ შაშიაშვილის ინიციატივას, — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების დღე ქართველთა შერიგების დღედ გადაქცეულიყო, უამრავი ადამიანი გამოეხმაურა.

ამ მიზნითა და სულისკვეთებით მივიდნენ ისინი ბაგრატის ტაძართან, სადაც ლოცვა-ვედრება აღავლინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. შერიგებისაკენ, ურთიერთმიტევებისაკენ მოუწოდა სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემაც თავის მოკლე სიტყვაში.

სამწუხაროდ, აქვე, ბაგრატის ტაძართანვე გავიგეთ, რომ ამ წმინდა დღეს ლოთი ქობალიას უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს სენაკი, აბაშა და თანამოძმეთა სისხლიც დაიღვარა. კიდევ ერთი დიდი განსაცდელი დაუდგა საქართველოს.

ახლა ყველა ქართველის ვალია, არ დაუშვას ძმათამკვლელი ომი და ურთიერთკომპრომისების, შერიგებისაკენ გზების ძიებით ავაცილოთ ქვეყანას ის უბედურება, რომელიც კარს მოგვდგომია და საბოლოოდ განადგურებას, ქვეყნის მთლიანი სხეულის დაქუცმაცებას გვიქადის და რომელიც სამარადისოდ დაასამარებს ჩვენს სანუკვარ ოცნებას — ავაშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო.

ეთნოკონფლიქტები — დღევანდელი მსოფლიოს ტრაგიკული სინამდვილე

გიორგი ასლანიშვილი

XX საუკუნის მსოფლიოში რამდენჯერმე მოხდა პოლიტიკურ ღირებულებათა გადაფასება. თუ საუკუნის დასაწყისში კაცობრიობას უფრო მეტად სოციალური, კლასობრივი პრობლემები აღელვებდა, ასწლეულის შუა წლებიდან დაიწყო სხვადასხვა იდეოლოგიური დოქტრინების მქონე საზოგადოებების გლობალური კონფრონტაციის ეპოქა, უკანასკნელ პერიოდში კი წინა პლანზე ეროვნულ-ეთნიკური დაპირისპირების პრობლემატიკამ წამოიწია.

90-იანი წლების დასაწყისში ერთაშორისი კონფლიქტების არნახულ ზრდას მსოფლიო მოუმზადებელი შეხვდა. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მსგავსი კონფლიქტები მისთვის ახალი და უცნობი მოვლენა იყო, არამედ იმის გამო, რომ მანამდე ეთნოკონფლიქტების მართვის საერთაშორისო სისტემა ემყარებოდა ურყევ, შეუვალ პოსტულატს: მსოფლიო სტრუქტურების მთავარი კონსტრუქტორების — აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის — მტკიცე შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას. სსრკ-ს დაშლას კი სტაბილურობის ამ გარანტიის მნიშვნელოვანწილად შესუსტება მოჰყვა.

ამჟამად ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დგანან არამარტო მსოფლიოს ცალკეული ქვეყნები, არამედ მთელი რეგიონები ევროპაში, აზიასა თუ აფრიკაში. მეტი თვალსაჩინოებისათვის: დღეისათვის ეთნიკურ (აგრეთვე ისტორიულ) ნიადაგზე რუმინეთს პრეტენზიები გააჩნია უკრაინასთან ჩრდილოეთ-ბუკოვინისა და სამხრეთ ბესარაბიის გამო, უნგრეთი რუმინეთს ედავება ტრანსილვანიას, აშკარა გახდა ბულგარულ-თურქული ანტაგონიზმი ბულგარეთში. ანალოგიური პრობლემები აღელვებს დასავლეთ ევროპასაც: ფლამანდის საკითხი დღესაც ახსენებს თავს ბელგიის ხელისუფალთ, ოლსტერის პრობლემა აწუხებს დიდ ბრიტანეთს, კორსიკის — საფრანგეთს, ბასკეთისა და კატალონიის — ესპანეთს, სამხრეთ ტიროლის — იტალიას. ტოტალიტარიზმის დემონტაჟმა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში წარმოშვა მთელი ჯაჭვი ეთნოკონფლიქტებისა ბალკანეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. მსგავსი დილემის წინაშე დგას ჩინეთი, სინ-ძიან-უიღურთა, შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონებსა და ტიბეტში. ეთნიკური კონფლიქტების ქსელითაა დაფარული აფრიკის კონტინენტიც ეთიოპიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამდე და ლიბერიიდან სომალიმდე. სულ უფრო და უფრო გამოკვეთილი ხდება ინგლისურენოვანი კანადის დაპირისპირება ფრანგულენოვან კვებეკთან. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ უამრავი შეიძლება.

თითქმის ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი კონფლიქტი გაჩაღებულია ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგით. ერის თვითგამორკვევა კი სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ეთნოსის მიერ თავისი ბუნებრივი ინსტინქტის — დაიკავოს მის გარემომცველ ყოველგვარი ხერხით ოპტიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობა — რეალიზაცია. ერის ასეთი მისწრაფება თავისთავად სულაც არ არის გაკიცხვის ღირსი, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში ზოგიერთი ეთნოსი ცდილობს ოპტიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობა შეცვალოს მაქსიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობით, რაც უკვე მეზობელ ეთნოსებთან დაპირისპირების, მათთან კონფლიქტში შესვლის წინაპირობაა.

სამწუხაროდ, დღეისათვის არ არსებობს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ ერთხმად აღიარებული და საერთაშორისო სამართლით გამაგრებული, ყველა მხარისათვის მისაღები მკვეთრი გამიჯვნა ერის თვითგამორკვევასა და სეპარატიზმს შორის, არ არის გარკვეული თუ სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე. მაგრამ ერთი რამ ნათელი და უცილობელია: საერთაშორისო ინსტიტუტები, გაეროს ჩათვლით, არ ცნობენ ერის თვითგამორკვევის უფლებას, თუ ეს უფლება საფრთხეს უქმნის იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელშიც ეს ერი ცხოვრობს.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას, რაც ფაქტიურად აკანონებს სახელმწიფოთა შორის ამჟამად არსებულ საზღვრებს, არ ეთანხმებიან ეთნოკონფლიქტებში მონაწილე სეპარატისტული ძალები. ამიტომ ახლო მომავალში გარკვეული ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა თავიდან აიცილონ დამანგრეველი პროცესები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ეს სულაც არ არის საშიშროების გაზვიადება ან ჩვენი სურვილის რეალობად გამოცხადება. უცილობელი ფაქტია, რომ მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიეთნიკურია. ეს კი პერსპექტივაში ამ საშიშროებას ადვილად აქცევს რეალობად, თუ მსგავსი პროცესები კიდევ ასეთი უმართავი დარჩა. ამიტომ ის ქვეყნები, რომლებიც დღეს თვალს ხუჭავენ სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებაზე და შეიძლება თანაუგრძნობენ კიდევაც მას, ხვალ შეიძლება თავად დადგნენ ანალოგიური პრობლემების წინაშე.

დღეს ეთნიკურ წინააღმდეგობებს დანგრევის პირამდე მიჰყავთ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის მაგალითი. ისტორიულად რუსეთის ერთიანობის გარანტად ყოველთვის მტკიცე, ავტორიტარული ცენტრალური ხელისუფლება გამოდიოდა. ამჟამად, როდესაც რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი მიზანია ტოტალიტარული სისტემის დამსხვრევა და ქვეყნის წაყვანა დემოკრატიული რეფორმების გზით, წინა პლანზე წამოიწია ფედერალურ საწყისებზე დაფუძნებული ამ უზარმაზარი ქვეყნის დანაწევრების შეჩერების საკითხმა. ჩეჩნეთი ფაქტიურად გასულია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან; თათრეთის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ფედერალური ხელშეკრულების ხელმოწერაზე და მოსკოვთან ორმხრივი მოლაპარაკების შემდეგ ფაქტიურ ავტონომიას მიაღწია, ხოლო ბაშკირეთმა ფედერალურ ხელშეკრულებას მხოლოდ მას შემდეგ მოაწერა ხელი, რაც ცენტრისაგან დამატებით დათმობებს მიაღწია.

ახლო მომავალში რუსეთი დიდი პრობლემების წინაშე შეიძლება დააყენოს სახას (იაკუტია) რესპუბლიკამ. ამ უზარმაზარმა მხარემ, რომელიც 3 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობს მოიცავს და მოიპოვებს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ალმასების მარაგის [illegible] პროცენტს, 1991 წელს მიიღო საკუთარი კონსტიტუცია, რომლითაც გამოცხადდა ადგილობრივი კანონების უზენაესობა ფედერალურის წინაშე. გარდა ამისა, თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არ გამორიცხა სამი რესპუბლიკის (თათრეთი, ბაშკირეთი, სახა) მომავალი კავშირის შეკვრა, რათა „სერიოზუ-

გაგრძელება მე-6-7 გვ.

საქართველო — ყოველკვირეული გაზეთი

ოსთა II ყრილობა ვლადიკავკაზში

მიმდინარე წლის 26-27 მაისს ვლადიკავკასში ჩატარდა ოსი ხალხის მეორე ყრილობა, სადაც საკმაოდ ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი სამხრეთელი ოსებიც. მათგან ყრილობაზე გამოსვლის ბედნიერება ბევრს ერგო და ყველამ თავისი წილი ღვარძლი და ბოღმა დაანთხია თავზე საქართველოს, ქართველ ხალხს. ერთ-ერთ გამომსვლელს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის,ალამაზ კაბისოვის მოხსენებას, ქვემოთ გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით. ეს ახალგაზრდა ახლო წარსულში ყველაზე ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის ხელმძღვანელი იყო და სწორედ ამ ტალღაზე გახდა „სახელმწიფო მოღვაწე" ეს გამოსვლა მისი მრავალრიცხოვანი კონსულტანტ — მეცნიერების შემოქმედების ნაყოფია და არა უშუალოდ მისი ეგზალტირებული ტვინისა. მცირეოდენი კომენტარები კი შემდეგ ნომერში, რადგან გამაბათილებელი არგუმენტებით მოწოდებული ასეთი მასალა ეფექტს კარგავს, მკითხველს განსჯის უნარს ართმევს და მალეც ავიწყდება.

სამხრეთ ოსეთის უკანასკნელი წლების ისტორია, ისევე როგორც მთელი ოსი ხალხის ისტორია ამ და წინა ყრილობაზე საკმაოდ იყო გაშუქებული. მაგრამ საჭიროა ყურადღებიით მოვეკიდოთ მიმდინარე პროცესების შედეგებს და სწორად განვსაზღვროთ თანამედროვე ეროვნული ამოცანები.

პირველი. თუ პირველმა ყრილობამ (იგულისხმება ოსი ხალხის პირველი ყრილობა ჩატარებული 1991 წელს. მ.მ) წარმოაჩინა სერიოზული განსხვავებები სამხრეთელ და ჩრდილოელ ოსთა ხელმძღვანელობაში, რაც ზოგადეროვნული ამოცანების გადაჭრას ეხებოდა, მეორე ყრილობისათვის ბევრი ეს განსხვავება მოიხსნა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონსტრუქციული ცვლილებები ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობაში, რომელმაც გადადგა სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯები. მათ შორის სამხრეთ ოსეთის ცნობა და ოსეთის ინტეგრაციის ხელშეკრულების ხელმოწერა.

• დღეს მომწიფდა იმის გაგება, რომ ოსი ხალხის მომავალი არ შეიძლება გადაწყდეს ოსეთის რომელიმე ნაწილში და დანაწევრებული ძალისხმევით.

მეორე. ეროვნული ინტერესების ერთობლივ დაცვას, როგორც სამხრეთში ისე ჩრდილოეთში, რამდენადაც მორალური ისე ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წარმოაჩინეს ოსეთი, როგორც ერთიანი ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნი. ოსური სახელმწიფოს პრობლემა აქტუალური გახდა. საერთო სიძნელეებმა და ერთობლივმა ბრძოლამ მყისიერად მოხსნა ხელოვნურად შექმნილი ყველა გაუგებრობა და ჩვენ ამ ომიდან გამოვედით როგორც ერთი ერი.

მესამე. სამხრეთ ოსეთის პრობლემამ მსოფლიო აღიარება მიიღო, უშიშროების საბჭოს მონაწილეობა საკითხის გადაჭრისათვის ამის დასტურია. სამხრეთ ოსეთი მიღებულია აგრეთვე გაეროში გაუწევრიანებელ ხალხთა ორგანიზაციაში. როგორც დამკვირვებელი.

მეოთხე. სამხრეთ ოსეთი, რომელიც მოწყვეტილი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს წარმატებით ჩაერთო საერთო კავკასიურ პროცესებში და მთიელ ხალხთა კონფედერაციის მუშაობაში. რიგი რეზოლუციები, რომლებიც მიღებულია კონფედერაციისა და კაზაკთა ორგანიზაციების მიერ თავისთავად ლაპარაკობენ ამაზე. აქ ინტერესები ორმხრივია და პროცესი მიდის მხარეთა შემდგომი დაახლოებისაკენ.

სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რომლებიც ადრე იზოლირებურად მოქმედებდნენ დღეს მზად არიან ერთობლივად გამოვიდნენ ორივე ხალხის პოლიტიკური მომავლის გამო და ესეც სერიოზული წარმატებაა. მათ მხარს უჭერს ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელობა.

მეხუთე. ჩრდილოეთ ოსეთიდან რუსეთის ფედერაციის პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატის და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობის ძალისხმევით „ოსური საკითხი" უშუალოდ დადგა რუსეთის ფედერაციის ინტერესების სფეროში. თუ გუშინ ჩრდილოეთ ოსეთმა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოაწერა ხელი ფედერაციულ ხელშეკრულებას დღეს ალბათ სამხრეთ ოსეთის საკითხი დადგება რუსეთის საკონსტიტუციო მშენებლობის საერთო პროცესში და ჩვენ გვწამს ეს გააქტიურებს რუსეთის დიპლომატიას სამხრეთ ოსეთის მიმართ. რუსეთს ამას ისიც ავალდებულებს, რომ სწორედ რუსეთის სახელმწიფოში მოხდა ოსეთის უკანონო გაყოფა. ეს ფაქტი არ აძლევს მას მორალურ უფლებას უგულებელყოს ჩვენი საკითხი.

მეექვსე. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების შექმნა. ისინი არ იგულისხმებიან მეზობელი ხალხების წინააღმდეგ აგრესიისათვის. ისინი უმნიშვნელონი არიან საქართველოს არმიასთან შედარებით, თუმცა სრულიად საკმარისნი იმისათვის, რომ შეაკავონ ქართველი ნაციტების სურვილი უბრალოდ და დაუსჯელად ანადგურონ მშვიდობიანი მოსახლეობა, მოახდინონ სამხრეთ ოსეთის ანექსია.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ოსეთის გაერთიანებული სამხედრო პოტენციალი საკმარისია იმისათვის რომ შეაკავონ თავს მოხვეული ომი და მოიგონ იგი. მთავარია ოსეთის პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენ დიდხანს ვკამათობდით ამ თემაზე ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელობასთან, იხილებოდა ოსეთის ეტაპობრივი გაერთიანების საკითხი.პირველ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო საქართველოს შემადგენლობაში. მაგრამ ეს მექანიზმი ჩვენ შეუსაბამოდ ვცანით შემდეგი მიზეზების გამო. საკითხი ეხება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შესვლას საქართველოს ფედერაციაში. საქართველო უკვე იყო ფედერაციული, მაგრამ აფხაზეთი და ოსეთი აგრესიას განიცდიდნენ და არავითარმა სამართალმა არ გადაუღობა გზა ძალადობას.

• თუ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა შევა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაშინ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ოთხი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ფუნქცია უნდა გადაეცეს საქართველოს ფედერალურ ხელისუფლებას:

ფინანსები; შეიარაღებული ძალები; უზენაესი სასამართლო და პროკურატურა; საგარეო პოლიტიკა და საგარეო საზღვრები.

ამასთან:

1. პირველი ნიშნავს, რომ ჩვენ ვკარგავთ ეკონომიკური ურთიერთობის საშუალებას, რაც ყოველთვის არსებობდა.

2. სამხრეთ ოსეთელი ახალწვეულები ვალდებულნი იქნებიან იმსახურონ საქართველოს ფედერალურ ჯარებში და შეასრულონ საქართველოს სახელმწიფოს ამოცანები. ამასთან საქართველო თავის თავზე იღებს საგარეო საზღვრების დაცვის საქმეს, რაც გვაიძულებს შევასრულოთ ჩ ვენი ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელი ამოცანები, როგორც ამას აკეთებენ საქართველოს რაიონებში მცხოვრები ის ოსები რომლებსაც აიძულებენ იომონ აფხაზეთში.

3. საქართველოს ფედერალური სასამართლო და პროკურატურა დაიწყებენ სამხრეთელი ოსების პატრიოტულად განწყობილი ძალების დევნას და ამისათვის იურისპრუნდენციაში უამრავი საშუალება არსებობს. მითუმეტეს რომ ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

4. სამხრეთ ოსეთს არ ექნება საშუალება დაიცვას თავისი საერთაშორისო ინტერესები. ეს ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა. ჩვენ აღმოვჩნდებით დიპლომატიურ იზოლიაციაში ჩრდილოეთ ოსეთთან მიმართაც კი. აქედან, თუკი ირლანდიელები და ბასკები თავიდანვე შედიოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, სამხრეთელი ოსები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შევლენ პირველად. ამ შემთხვევაში მე გეკითხებით თქვენ — როგორი იქნება ჩვენი გაერთიანების მოტივები თუ ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ შევიდეთ დამოუკიდებელ საქართველოს შემადგენლობაში?

მოვლენების ასეთი კატასტროფული განვითარების ალტერნატივა შეიძლება იყოს ოსი ხალხის მტკიცედ გამოხატული ნება ერთიანობის აღდგენისა, რომელიც ამ ყრილობაზე უნდა იყოს გაფორმებული. ყრილობამ უნდა მიმართოს მსოფლიო საზოგადოებას, გაეროს, უშიშროების საბჭოს მოთხოვნით აღიარონ ეს ნება და ოსი ხალხის უფლება ოსეთის ერთიანობის აღდგენისა.

ძვირფასო დელეგატებო! მე შეგნებულად არ ვჩერდები ინგუშების აგრესიის კონკრეტულ საკითხებზე. ეს ასევე ოსეთის ნაწილის აგრესიის მცდელობაა და აქაც ჩვენი მთავარი ღონისძიება უნდა იყოს ერთობა — ყველა სადღეისო ამოცანა უნდა გადაიჭრას ერთობით.

მე თავს უფლებას მივცემ დავაკონკრეტო ეს ამოცანები:

1. უმთავრესია არ დაუშვათ სახელმწიფოთშორისი საზღვრების გავლება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის. ამ საკითხს გააჩნია წონიანი ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი არგუმენტები.

2. დარეგულირდეს ფინანსების შეუფერხებელი მოძრაობა ოსეთის ორივე ნაწილში, ურომლისოდაც შეუძლებელია ეკონომიკური ინტეგრაცია.

3. ინტეგრაცია მიმართული უნდა იყოს ჩრდილო ოსეთის ტექნოლოგიიური პოტენციალისა და სამხრეთ ოსეთის რესურსების განვითარებისათვის.

ჩვენი მოთხოვნების ძალა ჩვენს სიმართლეშია. ის რომ ოსეთი გაყოფილი იქნა და შევიდა საქართველოს სსრ — ს შემადგენლობაში არის საბჭოთა კავშირის ქართველი ეროვნების ხელმძღვანელების (სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია) ნაციონალისტური ავანტიურიზმის შედეგი. ეს ფაქტია.ფაქტია ისიც რომ სამხრეთ ოსეთი არასოდეს არ შედიოდა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში. 1991 წლის ოსი ხალხის პირველმა ყრილობამ უპირობოდ დაადგინა ოსეთის ერთიანობის აუცილებლობა.

სამხრეთ ოსეთის ხალხმა თავისი ნება გამოხატა 1992 წლის 19 იანვრის რეფერენდუმზე, მაგრამ ოსეთის ერთიანობის საკითხი, მთელი ოსი ხალხის საკითხია. ამიტომ ეს რეფერენდუმი უნდა იქცეს ჩვენი ყრილობის მთავარ პოლიტიკურ ღონისძიებად. ერთიანობა გადაგვაწყვეტინებს ყველაზე რთულ ამოცანებს, მათ შორის ლტოლვილებისაც, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რომ სამხრეთ ოსეთის დაცემა კატასტროფულს გახდის ჩრდილოეთ ოსეთის არა ოსი ხალხების ბედს, მაშინ როდესაც სტაბილიზაცია სამხრეთში მოხსნის ამ პრობლემას.

ჩვენ ვთავაზობთ ყრილობას ორი ოსური პარლამენტის ბაზაზე შექმნილ საპარლამენტოთაშორისო კომიტეტს დაავალოს ტექნიკურად უმოკლეს ვადაში მოამზადოს და ჩაატაროს რეფერენდუმი.

კითხვები შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე:

1. აღდგეს ოსეთის მთლიანობა

2. საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო უნდა იყოს ოსეთის რესპუბლიკა.

ვისია, ვისია... ტანკი?!

ყველასათვის ცნობილია როგორ უჭირთ დღეს ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს. გაჭირვებულის დახმარება კი ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია. სწორედ დახმარების სურვილი გვამოძრავებს და გვინდა ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს, იმ დროს როცა მათ ქურდი და დაკარგული მანქანაც კი ველარ უპოვიათ, ტანკი, დიახ, ნამდვილი ტანკი ვაპოვნინოთ. ტანკი ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე (მაგრამ იმედია,იგი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს რომელიმე ნაწილს ეკუთვნის და არა სხვა ქვეყნის თავდასხმის სამსახურს) აი, უკვე ერთი თვეა ზედაზენისა და საკაძის ქუჩების გზაჯვარედინთან უწყინრად დგას. იგი არც მოძრაობას აფერხებს და ამ უბნის ბავშვებსაც მშვენივრად ართობს. მაგრამ ვფიქრობთ, სამართალდამცავი ორგანოები მაინც დაინტერესდებიან ჩვენი ქვეყნის პირობებში ამ არცთუ საგანგაშო ფაქტით. და თუ მათ, როგორც ბოლო დროს ხშირად ხდება, „უსაწვავობის" ან სხვა „სუბიექტური და ობიექტური" მიზეზების გამო შემთხვევის ადგილამდე ვერ მიაღწიეს, ვაქვეყნებთ ტანკის ფოტოებს — იქნებ პატრონმა მაინც იცნოს, გაახსენდეს თავისი ტანკი და ქალაქის ქუჩებიდან წაიყვანოს.

ვახტანგ კომახიძე

ჯერიას დღიურებიდან

— ჩანაწერი მეოთხე —

მოსკოვი, 1950 წელი, იანვარი

გავიდა კიდევ ერთი დამქანცველი დღე. ვლადიმირსკი (ლ. ვლადიმირსკი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ საქმეთა და საგამომძიებლო განყოფილების უფროსი, „ბერიას ბანდის“ სხვა წევრებთან ერთად 1953 წელს დახვრიტეს) შეშფოთებული იყო ფილტვების ანთებით სიკვდილის მოლოდინით და ისევ მთხოვა გავლენა მომეხდინა პატრონზე, რათა აღედგინა სიკვდილით დასჯა — თუნდაც ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულისთვის. (1945 წელს სტალინმა დასავლეთის ლიბერალური ჯგუფების თვალის ასახვევად გააუქმა სიკვდილით დასჯა, რის შემდეგაც მსხვერპლნი რეგისტრირდებოდნენ როგორც ფილტვების ანთებით დაავადებულნი. სიკვდილით დასჯა ბერიას დაჟინებით აღადგინეს 1950 წლის დასაწყისში.) მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ მოხუცი აქ უდრეკია. იგი გვაიძულებს დასავლეთის სოციალისტური ქვეყნების ინტელიგენცია ტკბილი ძილისგან არ გამოფხიზლდეს!

მაგრამ მე სადღაც ვეთანხმები ვ-ს. ესაა საფუძვლიანი წინდახედულება, რომელზედაც ფიქრს იუსტიციის სამინისტრო გვაიძულებს (ალბათ იმისთვის, რომ უცხოელთა ყურადღება მიეპყროთ) და ჩვენ სამსახურს ახალ წინააღმდეგობებს უქმნიდა. ვ-ს ერთ-ერთმა მოადგილემ დარეკა გასულ კვირას, წინადადებით — გაეხსნათ ფიქტიური ანგარიში, რათა გაემართლებინათ ჯალათებსა და დამშარხველ ხალხზე გაცემული თანხა. ასეთი ბიუროკრატია გარდაიქმნება ფარსად.

პარასკევს საღამოს არასასიამოვნო ისტორია შემემთხვა და თუმცა ბოლო სიტყვა ამ დროს მე მეკუთვნოდა, ინციდენტმა მთელი კვირით გამიფუჭა ხასიათი.

ხუთშაბათ საღამოს ვიმყოფებოდი რევოლუციის მუზეუმში დიდ ზეიმზე, რომელიც ახალგადაღებულ ნაგავ ფილმს „ყუბანელ კაზაკებს“ მიეძღვნა. (როგორც ჩანს, კინონაწარმოების მუშაკები ფიქრობენ, რომ მათთვის საპირო ჩემგან მხარდაჭერა, — შეიძლება უბრალოდ თავიანთ წრეში საჭირო ადამიანების დანახვა სურთ!)

კინოშნიკები ცდილობდნენ მოეხდინათ ჩემზე შთაბეჭდილება და დაეჭირათ ჩემი ყურადღება. მაგრამ ჩემი მთელი ყურადღება ქალთა შემადგენლობისკენ იყო მიპყრობილი. იმ საღამოზე იქ იყო ერთი მომაჯადოებელი ქერა გოგონა — ნატაშა ზ. მოსკოველი, რომელიც ფილმში პატარა როლს ასრულებდა, მაგრამ რაფიკმა მითხრა, რომ იგი კარგი მომავლის მქონე მსახიობი იყო. გარდა ამისა, მას გრძელი ღია ფერის თმა ჰქონდა, ბრწყინვალე ფიგურა და ძალიან კოხტად გამოყვანილი ტანი ამშვენებდა მას.

მე ვუთხარი ჩემი ვინაობა და სიამოვნებით ვისაუბრეთ — თუმცა მეწყინა რომ იგი მხოლოდ ხილის წვენს მიირთმევდა. მე ვცდილობდი, რომ როგორმე ქართული ღვინო გაესინჯა, ვუქებდი, ვარწუმენდი, მაგრამ მან გადაწყვეტით უარყო. (როგორც ჩანს იგი კარგი ოჯახის შვილი იყო, თუმცა არა გავლენიანისა, მე ჩავინიშნე, რომ რაფიკისათვის მეთქვა მასზე ცნობების შეგროვება.)

ძალიან წყნარად გავაგრძელეთ საუბარი და მისმა თავმდაბლობამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მორიდება გამეფანტა. ვუთხარი, რომ გავლენა მქონდა კინოწარმოებაში. გადავწყვიტე მოვქცეოდი რბილად, მორიდებულად მისივე მანერებით. და სანამ წავიდოდი, (რაფიკმა თავისებურად მოაწყო ჩემი გამგზავრება), მოიწვია იგი მეორე დღეს ვახშამზე. იგი გაწითლდა, თითქმის კისრამდე, მისი ცისფერი თვალები კი მღელვარებით აინთო როცა ჩემი მიწვევა მიიღო.

პარასკევს, ზუსტად საღამოს 7.30 საათზე ჩემი მძღოლი მივიდა მის წამოსაყვანად ჩერემუშკაში, სადაც მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. (რაფიკმა მიპატაკა რომ მისი მამა სატრანსპორტო სამინისტროში მუშაობდა.) ვერც კი მოასწრო მალაია ნიკისტსკაიაზე მოსვლა, რომ შეშფოთდა, რადგან სხვა სტუმრები ვერსად დაინახა. როგორც ჩანს, იგი დიდ საზეიმო საღამოს ელოდა და ფიქრობდა აქ გავლენიან პირებს გაიცნობდა, შაგრან...

მე მაინც თავდაჭერილად ვიქცეოდი. თავიდან და როცა ორი კაცისთვის გაწყობილ მაგიდასთან მივიწვიე, მშვიდად ამოვისუნთქე, რადგან მას ბოკალ შამპანურზე უარი არ უთქვამს, თუმცა ისე სვამდა, ნაღდად მოწამვლის ეშინოდა. ჩვენი საუბარი დღეს გუშინდელთან შედარებით სრულიად სხვა ხასიათს ატარებდა და მე უკვე მოუთმენლობა მიპყრობდა. გამოვკითხე ოჯახის შესახებ, მაგრამ მივხვდი, რომ ამ თემაზე საუბრისათვის იგი მზად არ იყო, ალბათ იმიტომ, რომ რცხვენოდა თავისი მშობლებისა — იმიტომ, რომ მე შემეძლო ძალიან დავხმარებოდი ღარიბ რკინიგზელს.

ჩვენ გადავედით ყავაზე და დესერტზე — სუფრაზე გვქონდა აფრიკიდან ახალჩამოტანილი მარწყვი. თითქმის ძალით დავალევინე ერთი სირჩა მწვანე შარტრეზი. და აი, მე მოთმინების ძაფი გამიწყდა, ჩემი აზრი გამოვთქვი მისი კაბის შესახებ. (ნამდვილად ელეგანტური საღამოს კაბაა, რომელიც მთელ ჩემს შეხედულებას მიმტკიცებდა პატრონის ფიგურის შესახებ) და თუმცა ჩემს სიტყვებში არაფერი იყო მოგონილი, მან იგი თითქმის შეურაცხყოფად მიიღო. მივხვდი, რომ უფრო ფრთხილად უნდა მემოქმედა. წამოვდექი, დავისხი ლიქიორი და ვთხოვე დამჯდარიყო დივანზე. იგი ადგა და აშკარად თავისი სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ... როცა წამოდგა, მოვეხვიე უკნიდან. ვიგრძენი მისი სასიამოვნო ფიგურის კონტურები კაბაში და მთელი გრძნობები ისე გაჭრა, რომ ძლივს დავაჯერე თავი მომხდარში. იმ ძუკნამ მთელი ენერგიით გამარტყა. აქ ახლა მე გულახდილი უნდა ვიყო. არ მახსოვს საქართველოს კომპარტიაში შესვლის — პირველივე დღიდან, რომ ვინმეს — აღარაფერს ვიტყვი გოგონებზე, ჩემთვის დაერტყას. ისე გავშტერდი, რომ მაშინვე რეაგირება არ გამიკეთებია, თორემ იქავე გავუსწორდებოდი მას. რაღაცამ შემაჩერა. სამაგიროდ, მე მას ჩემი ცივად მეტყველი და გამანადგურებელი თვალებით შევხედე. ეს გამოხედვა ბევრ, უფრო ძლიერ ადამიანს აჯადოებდა და მუხლებზე ახოხებდა პატიების მოლოდინში. მაგრამ ეს ძუკნა ან მამაცი, ან სულელი იყო. იგი „ეფემტრიულ“ ლდა ჩემსკენ და „ეფემტრიულ“ ლ, რომ იგი „წესიერი გოგონაა“, რომელსაც არ უყვარს ხანდაზმული მამაკაცებისაგან ასეთი გამოხდომები.

ვშიშობ, რომ აქ მე უკვე დავკარგე თავდაჭერა და თავშეკავება. შემეძლო მეთქვა მისთვის, რომ ჩვენ, ქართველები გაფურჩქვნის ხანაში ვიმყოფებით 70 წლის ასაკშიც კი, რომ ქართველი მამაკაცები 150 წლამდე ცოცხლობენ და ამ ასაკშიც კი აკეთებენ ბავშვებს! მაგრამ უკვე ლაპარაკიც არ მსურდა და გავუშვი იგი. მერე კიბემდე მივაცილე და თვალი გავაყოლე, თუ როგორი სიამაყით მიდიოდა საფეხურებზე. უნდა აღვნიშნო, რომ მან ეს პროცედურა მართლაც რომ სიამაყით ჩაატარა, რამაც მდგომარეობიდან გამომიყვანა, ბოლო მომენტში ივანზე გავედი და იქიდან ვუყურებდი. (ვიფიქრე, რომ უმჯობესია ამ სულელს ზემოდან შევხედო და არა მის გვერდით ვიყო, ვინაიდან იგი საკმაოდ მაღალ-მაღალი ტანის იყო.) ჩამოვეყრდენი მოაჯირს და დავინახე, როგორ მივიდა მანქანასთან. მძღოლმა კარი გაუღო. იგი დაიხარა, რომ ჩამჯდარიყო და დაინახა ყვავილები, რომელიც წინასწარვე ჩავაწყობინე მანქანაში. იგი შემობრუნდა და დამინახა ივანზე გადამდგარი.

— გმადლობთ თაიგულისათვის, — დამიძახა ჩან. მე კი პასუხად ვუთხარი: ეს თაიგული არაა, გოგონი, სამგლოვიარო გვირგვინია.

დავინახე როგორ გაფითრდა. მძღოლმაც, რომელმაც კარგად გაიგონა ჩემი უწყინარი ხუმრობა მანქანაში უჯიკა მას და ადგილიდან მოწყდა.

არ დავლოდებივარ რრდის დამშვიდდებოდი. მაშინვე დავრეკე სამინისტროში და მივეცი მითითება, გაეგზავნათ იგი ლუბიანკაზე. დილით კი შესაბამისი განკარგულება გავეცი, რომ მისთვის შესაბამისი (სასჯელი) განაჩენი გამოეტანათ.

საერთოდ, მე ამ საქმეს ფილოსოფიურად უნდა მივდგომოდი და ისე გამერჩია ადამიანის ნატურის შესწავლისა და ცოდნის სფერო.

ბაბრაძელება იქნება

კაცს ძალით აგიჟებენ, თითქოს გიჟების დეფიციტი გვქონდეს...

რეალურად ახალგაზრდა, მორიდებული კაცი გვესტუმრა. მთხოვა რამდენიმე წუთით ყურადღება მიმექცია. ჩვენ რამდენიმე საათი ვისაუბრეთ.

უფრო სწორად, მე მას ვუსმენდი. ვუსმენდი და ვგრძნობდი, რომ ამას მავალდებულებდა არა ჩემი სამსახური იმდენად, რამდენადაც ამ კაცის გამოხედვა, რომელშიც სასოწარკვეთილებას თითქმის დაეჩრდილა იმედის უკანასკნელი ხხივი, მავალდებულებდა მისი შემზარავი თავგადასავალი.

„1992 წლის ივნისში ქალაქ რუსთავის მერიიდან ნაცემი, თავგატეხილი მილიციამ იძულებით წამიყვანა თბილისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დასაწვენად. დამაწვინეს კიდეც ყოველგვარი წინასწარი კომისიის გაუვლელად, ოჯახის წევრთა ნებართვის გარეშე, რათა მე არ შემძლებოდა გარკვეულ პირთა მიმართ ჩემს მიერ აღძრული სისხლი სამართლის საქმის გაგრძელების მოთხოვნა.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყელზე თოკი გამომაბეს, რისი საჭდეც ერთ კვირას მეტყობოდა და ცხვარივით, გინებითა და ნიხლების რტყმით შემათრიეს. მე უარი ვთქვი საკვების მიღებაზე, გამოვაცხადე, რომ ვიშიმშილებდი. დამიწყეს ნემსების იძულებით გაკეთება, რისგანაც ციებ-ცხელების შეგრძნება დამეუფლა. დავსუსტდი, გავბრუვდი, მაგრამ სანიტრის მუშტების მიუხედავად ვცდილობდი არ მიმეღო ტაბლეტები.

იმავე ღამის სამ საათზე დედამ მომაკითხა. რადგან მას არ მისცეს ჩემი ნახვის უფლება, დაიწყო კარზე ბრახუნი და ჩემი სახელის ძახილი. მე მესმოდა მისი ხმა და ვცდილობდი ჩემი ხმაც მიმეწვდინა, რომ მიკეთებდნენ მოშწამვლელ წამლებს და, რომ ეცადა რამენაირად გაეყვანე. დილით შეპირდნენ ჩემს გაშვებას, მაგრამ მოატყუეს.

კვლავ ნემსები, სანიტრის მუქარა, გინება, მუშტები და ნიხლი. სიცხემ მიმატა. განმავითარდა ფილტვების ანთება. ჩავვარდი კომურ მდგომარეობაში. გადარჩენის იმედი არ იყო. დედის დაჟინებული მოთხოვნით და შიშის გამო — აქ არ მოკვდესო, გამწერეს. გადამიყვანეს რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში 41 გრადუსი სიცხით.

ორგანიზმისა და ღმერთის წყალობით გადავრჩი. ფსიქიატრიული საავადმყოფოდან აღარავის მოუკითხიავარ. განა დიაგნოზი ვერ დამისვეს? მკურნალობა ვერ დამინიშნეს? ერთი წლის მანძილზე არაფის გაგზავნებიავარ.

1982 წელს დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1987 წელს ნავაბარე გორის ეკონომიკის ინსტიტუტში, რომელიც 1993 წლის ივნისში დავამთავრე. ვმუშაობდი პედაგოგად პროფ-ტექნიკურ სასწავლებელში. ფსიქიურად აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ. არც მე და არც ჩემს ახლობლებს ჩემს გამო შესაბამისი დაწესებულებისთვის არ მიგვიმართავს.“

მას პაატა ჰქვია. გვარად კახიანია. ქ. რუსთავში ცხოვრობს. მორიდებულია, თუმცა შეუძლებელია ამგვარ თემაზე აუღელვებლად ილაპარაკ და ისიც ღელავს. იცით, საკმაოდ უჭვეულო განცდა იბადება, როცა ადამიანი გიმტკიცებს, ფსიქიურად ჯანმრთელი ვარო.

როცა იცი, რომ შენს წინ მყოფი ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია ნამყოფი, უნებურად ეჭვები გეუფლება, თუმცა ცდილობ ეჭვები არ შეიმჩნიო. ეს საკმაოდ უსიამოვნო განცდაა. ვისაც ასეთი რამ განუცდია, ოდესმე მიხვდება რა დიდი იარაღით სარგებლობდნენ ისინი, ვის ხელშიც ფსიქიატრიული კლინიკა წლების განმავლობაში ადამიანის დისკრედიტაციის, დათრგუნვის საშუალება იყო. მათი იარაღი კლინიკა კი არა, სწორედ ადამიანებში, საზოგადოებაში ოდესღაც აღსაძვრელი ამ სახის ეჭვები გახლდათ. ასე ხომ ნებისმიერი ადამინის სიგიჟე შეიძლება დამაჯერებელი გახდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ძლიერ პრეპარატებსაც აქტიურად გამოიყენებენ.

„1993 წლიდან ვმუშაობდი რუსთავის მე-3 რუსულ საშუალო სკოლაში ბუღალტრად. სკოლაში მუშაობის მანძილზე მივუთითებდი სკოლის დირექტორს საფინანსო დარღვევებზე, მოვითხოვდი წესრიგის დამყარებას, არ ვუწერდი ხელს ყალბ დოკუმენტებზე. მან მომიწყო პროვოკაცია და კანონის უხეში დარღვევით 20 ივლისს სამსახურიდან გამათავისუფლა. 17 აგვისტოს სახამართლომ აღმადგინა სამსახურში, იმის მიუხედავად, - რომ აღნიშნულ ინციდენტს სახამართლომ თავისი შეფასება მისცა, მას არ გადაუცია „საქმე“ ბებითვის და სამსახურში აღმადგინა გაცდენილ დღეებზე ხელფასის ანაზღაურებით.

23 აგვისტოს კი პოლიციაში

გაგრძელება გვ. 8

რამაზ საყვარელიძე:

ადამიანს აქვს ტენდენცია, გასაჭირის დროს ვილაცას დაეყრდნოს, „ვილაცისტი“ გახდეს... ეს არაა ავადმყოფობა, ეს ავადმყოფური მდგომარეობაა მხოლოდ...

(ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა პარლამენტის წევრს, ცნობილ მეცნიერს ბ-ნ რამაზ საყვარელიძეს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს).

კორ. — თქვენ ფსიქოლოგი ბრძანდებით. თქვენი ხელობაა ადამიანის ხასიათის შესწავლა-გამოცნობა. სად გადის ზღვარი ამ პროცესის დროს მეცნიერებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ინტუიციას შორის?

რ.ს. — ჯერ, თუ უფლებას მომცემთ, შეგეკამათებით ჩემი ხელობის განმარტებაში. ფსიქოლოგს ადამიანის ხასიათის გაგების გარდა ისიც მოეთხოვება, რომ ადამიანისთვისვე სასიკეთოდ იმოქმედოს მის ფსიქიკაზე. ეს ხშირად ხელოვნებაში გადადის ხოლმე და ამიტომ თანამედროვე ფსიქოლოგია თქვენ ჩამონათვალს კიდევ ერთს დაამატებდა — სად არის ფსიქოლოგის პროფესიაში ზღვარი მეცნიერებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ინტუიციასა და ხელოვნებას შორის? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს და, მე მგონი, იმიტომ, რომ არ არსებობს თვით ამგვარი ზღვარი. ფსიქოლოგობაში პირადულისა და პროფესიულის, ლოგიკურისა და ინტუიტურის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული აზროვნების, მედიცინისა და ხელოვნების საწყისთა სინთეზი არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო. ამ გაგებით ფსიქოლოგია მართლაც დისციპლინათა გადაკვეთაზე არსებული დარგია, როგორც მისი ერთგული ადგილი ბევრი კლასიკოსი. ყველა ისევ დისციპლინისაგან განსხვავებით ფსიქოლოგიისათვის სამუშაო „იარაღია“ არამარტო მისი ინტელექტი, ცოდნა ან მიმიკა, არამედ საკუთარი პიროვნებაც — პიროვნება ფსიქოლოგობის გადამწყვეტი ფაქტორია.

ამდენად, საზღვარი თქვენს მიერ ჩამოთვლილ პარამეტრებს შორის ფსიქოლოგის მუშაობის დროს არ არსებობს. სახეზეა მათი სპეციფიური სინთეზი, რომლის მეთოდოლოგია ჯერ არ არის მეცნიერებაში ჯეროვნად დამუშავებული.

კორ. — ადამიანი არ არსებობს ინდივიდუალურად, საზოგადოებისაგან მოწყვეტილად. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენენ ინდივიდზე და პირიქით. პროცესების წარმოშობის მიზეზები სოციალურია, მაგრამ სოციუმი ხომ ფსიქოგენოფონდიდან აირჩევა. რა და რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ჩვენს ფსიქოგენეოფონდზე? აქ, ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ფიზიოლოგები და სოციოლოგები ლაპარაკობენ ინტროვერტირებულ ექსტროვერტირებულ ცივილიზაციებზე. მაგალითად, აშშ ითვლება უკიდურესად ექსტროვეტირებულად, აღმოსავლეთ კულტურები კი ინტროვერტირებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა?

რ.ს. —თქვენი ამ კითხვის გარშემო ბევრი სიმპოზიუმის მოწყობა შეიძლება... ცივილიზაციათა ფსიქოლოგიური დახასიათება უაღრესად საინტერესო რამ არის და, განსაკუთრებით, ჩვენთვის — ცივილიზაციათა გასაყარზე მყოფი ერისთვის, რომელიც დღეს იწყებს ამ განსხვავებულ კულტურებთან ხელახალ კონტაქტს. ამიტომ, ნება მომეცით ამ ასპექტით გავამახვილო ყურადღება, რადგან თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე სრული პასუხი პრაქტიკულად შეუძლებელია ინტერვიუს პირობებში.

თქვენ ფსიქოგენოფონდზე დაიწყეთ ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა — განსხვავებით ადრინდელი პერიოდიდან დღეს აღიარებენ, რომ ადამიანი მარტო აღზრდის პროდუქტი არაა, რომ მისი ფსიქიკაზე არსებით ზეგავლენას გენეტიკური ფაქტორიც ახდენს. ეს გამოკვლევები ჯერ არ იძლევა მოვლენათა სისტემატური გაგრების საშუალებას, მაგრამ ლოგიკური აუცილებლობით ისინი მომავალში მიგვიყვანენ იმ დასკვნამდე, რომ ცალკეული ადამიანის ფსიქოლოგიური პროგნოზისთვის გასათვალისწინებელია მისი ეთნოსის ფსიქოლოგიური თავისებურებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცივილიზაციათა ფსიქოლოგიური დახასიათების ის მცდელობები, თქვენ რომ ახსენეთ.

ცივილიზაციათა, ან ეთნოფსიქოლოგიური ტიპების გამოყოფისას ხელმძღვანელობენ გეოგრაფიული პრინციპით — ლაპარაკია ევროპულ, აღმოსავლურ, ჩრდილოურ და სამხრეთულ ტიპებზე. მაგრამ თვით ტიპი გეოგრაფიული ფაქტორიც ბოლომდე არ იხსნება. ინტროვერტული (საკუთარ თავზე მიმართული) ხასიათისაა ებრაული ტიპი. ამ დროს ებრაელები არანაკლებ გეხედებიან ევროპაში (მით უმეტეს, ამერიკაში), ვიდრე აზიაში. ასე, რომ გეოგრაფიული ფაქტორით ცალსახად ვერ ახსნით ხასიათს, თუმც მისი გავლენა ნამდვილად უნდა ვაღიაროთ. შეიძლება გეოგრაფიული ფაქტორი გენეტიკაში არის კოდირებული. მეთოდურად გამართული გამოკვლევების გარეშე არ შეიძლება ამ საკითხებზე თამამად მსჯელობა.

ყოველივე ამის ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ხასიათის კვლევა. არსებობს საინტერესო გამოკვლევები, მაგრამ მათ მაინც ფრაგმენტული ხასიათი აქვთ, ამ ფენომენის სისტემური კვლევა არ მომხდარა. ამას ნუ დავაბრალებთ ჩვენ დაუდევრობას — თვით მსოფლიო პრაქტიკამაც არ იცის ერთი რომელიმე ერის სისტემური შესწავლის ფაქტი, რადგან ჯერ არ არის დამუშავებული ასე დიდი მასშტაბის გამოკვლევის მეთოდოლოგია. თუმც, საიდანმე უნდა დაიწყოს მუშაობა. ქართული ხასიათის შესწავლა კი საინტერესო და უაღრესად საჭირო ჩანს. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ — ბევრია ამგვარი. მცირე ქვეყნების უმრავლესობა ერთი ტიპის (ევროპული, აზიური და ა. შ.) კულტურულ გარემოში ცხოვრობს. ჩვენ კი ცივილიზაციათა თანაკვეთაზე აღმოვჩნდით. ამ პირობებში ძალზე ძნელია ფსიქოლოგიური თავისთავადობის შენარჩუნება. თავისთავადობის შენარჩუნების ერთერთ მექანიზმად კი შეიძლება იქცეს ქართული ხასიათის აყვანა იდეოლოგიის რანგში (როგორც ენაა საქართველოში იდეოლოგიური ღირებულების მქონე). ხოლო ამგვარად რომ წარმოადგინო ქართული ხასიათი, ის შესწავლილი უნდა გქონდეს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ქართული ხასიათის შესწავლასა და მის საფუძველზე ერის იდეოლოგიის აგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქართველი კაცის ფსიქოლოგიური ტიპის შენარჩუნებისათვის. უახლესმა წარსულმა და აწმყომ დაგვანახა, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვება ერის ფსიქოლოგიური სახის დეფორმაციას.

კორ. — ჩვენთან არსებობდა „ზვიადისტობის“ ცნება. ახლა „შევარდნაძისტობა“ დაემატა. ამაზე თვალებს ვერ დავხუჭავთ. ხანდახან ამას უყურებენ ხოლმე როგორც ფსიქოპათოლოგიას. თქვენ, როგორც ფსიქოლოგი, რას იტყოდით ამაზე?

რ.ს. — მე, როგორც ფსიქოლოგი, უპირველეს ყოვლისა მოვითხოვდი, რომ ადამიანები მეტი სიფრთხილით მოეპყრან ისეთ ეპითეტს, როგორც სულით ავადმყოფობაა მაშინაც კი, როცა რეალურად გვაქვს საქმე ავადმყოფობასთან. სიტყვა ძლიერად მოქმედებს ფსიქიკაზე, ხომ გახსოვს სულსან-საბას „სიტყვით დაკოდილი“?! დღეს კი ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ, რომ ადამიანთა რომელიმე ჯგუფი, ან მთელი ერი სულით ავადმყოფია. ასეთმა თვითგაეშამ, საკუთარი თავის ამგვარმა „დაკოდვამ“ საეჭვოა, რომ მოიტანოს კარგი შედეგი.

რაც შეეხება „ზვიადისტობისა“ და „შევარდნაძისტობის“ არსებობას, თქვენ ალბათ ფანატიკურ მიმდევრებზე ლაპარაკობთ (ვინმეს მომხრება, თავისთავად, არც საძრახისია და არც საქები). არის ჩვენთან ფანატიზმის ელემენტები და არც უნდა გაგვიკვირდეს. ადამიანს აქვს ტენდენცია, რომ გასაჭირის დროს ვილაცას დაეყრდნოს, „ვილაცისტი“ გახდეს. რაც უფრო მწვავედ განიცდის კაცი გასაჭირს,მით უფრო ძლიერ ენდობა მას მხსნელი. გერმანიის კრიზისის დროს მისი მოქალაქეები ჰიტლერის ფანატიკური მომხრეები გახდნენ. რა თქმა უნდა, ფანატიზმში არის რაღაც ავადმყოფური, ისევე როგორც ყველა ძლიერ ემოციაში. მაგრამ ეს არაა ავადმყოფობა, ეს ავადმყოფური მდგომარეობაა მხოლოდ, რომელიც პირობების შექმნისთანავე დაუბრუნდება ნორმას. დაემხო ფაშიზმი, გერმანელებმა დაინახეს რომ მათი მშველელი მხოლოდ საკუთარი შრომაა და... დაუბრუნდათ საღი შეთასების უნარი, მოეხსნათ ფანატიზმისკენ მიდრეკილება. საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებსა და მოქმედებაზე ორიენტირებული ადამიანი დიდ გასაჭირსაც იოლად იტანს და სხვაზე ფანატიურად მიჯაჭვული არაა. ჩვენი შრომა პირველ დადებით შედეგს როცა მოგვიტანს, მაშინვე დაჯაბნის ფანატიზმის ტენდენციას საღი რეალისტური დამოკიდებულება. თუმც, არა მგონია დღეს უკვე ის მასშტაბი ჰქონდეს ამ მოვლენას საქართველოში, რომ გავლენას ახდენდეს ქვეყნის ბედზე.

კორ. — ისიც ითქვა, რომ პრეზიდენტყოფილის მომხრე და ერთგული ქალები კარავში იყვნენ დაბანაკებული, „შევარდნაძის“ მომხრეები კი პარლამენტში. თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?

რ.ს. — მე ისევ ვითხოვდი მეტ ტაქტს და სიფრთხილეს ამგვარი ფორმულირებების დროს. პრეზიდენტყოფილის მომხრე ქალთა შორისაც არიან ისეთები, რომლებიც პარლამენტში იყვნენ და კარავში არ შესულან. შევარდნაძის მომხრე ქალები კი კარავში ვერ შევლენ თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღარაა გაშლილი კარვები. ისე, რომ ამ მხრივ ყველა მომხრე ერთნაირად იქცევა — მხარს უჭერს თავის ლიდერს ყოველივე იმით, რისი საშუალებაც არის მოცემულ მომენტში. ეს არ არის საქილიკო. თითოეულ მხარეს დგანან ადამიანები თავიანთი გრძნობებით და ცხოვრებით. ამას არ შეიძლება არ გაუწიოთ ანგარიში და ლაზათიანი სიტყვის თქმისათვის ტკივილი მივაყენოთ ადამიანებს. დღეს ქართველები დაუნდობლები გავხდით ერთმანეთის მიმართ, ჩვენ ლაპარაკსაც დაეტყო ეს. ისტორიულ ქართველს კი ურთიერთობის დიდი კულტურა ჰქონდა. კარგი იქნება თუ დავიბრუნებთ ამ კულტურას.

კორ. — ჯერ არ არსებობს მეცნიერება სიკეთესა და ბოროტებაზე, არსებობს მხოლოდ ემპირიული ცნებები, რომლებითაც სარგებლობენ ვისაც როგორ სურს. ადორნომ სპეციალური სკალის საშუალებით ფაშიზმი შეისწავლა. იქნებ საჭიროა, რომ ჩვენთანაც შედგეს რაღაც ამის მაგვარი სკალა და მოხდეს ამ მოვლენების მეცნიერული კვლევა და ანალიზი (მე როცა ადორნო ვახსენე, სულაც არ ვგულისხმობ, რომ ჩვენში ფაშიზმის მაგვარი მოვლენები მიმდინარეობს).

რ.ს. — მე უკვე მოგახსენეთ, რა მნიშვნელობას ვანიჭებ ქართული ხასიათის კვლევას. გეთანხმებით, რომ დღევანდელი ქართველის სულიერი მდგომარეობის შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია — გასარკვევია საით მიდის ჩვენი სულიერი ევოლუცია და რა არის მისი მამოძრავებელი ძალები. გასაგებია, რომ დღეს ეკონომიკას, თავდაცვასა თუ პოლიტიკას აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ სულიერ ცხოვრებას თუ არ მივაქცევთ ყურადღება, იგი დამანგრეველ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზეც, თავდაცვაზეც, პოლიტიკაზეც. ამის ნიშნები საკმარისზე მეტია. საჭიროა ქართველთა სულიერი სამყაროს არამარტო კვლევა და ანალიზი, არამედ ამ ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება ქვეყნის შენებაშიდაც. თუ ეს ნაწილობრივ მაინც არ მოხერხდა, ძნელია იმის წარმოდგენა, თუ სად მიიყვანს საქართველოს ქართული ხასიათი.

ესაუბრა

ხათუნა კიკნაძე

„ქარტია 91“-ის მიმართვა საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს

დღეისათვის ნათელია, რომ ქართულმა ოფიციალურმა პოლიტიკამ მრავალი პარამეტრის მიხედვით სასტიკი მარცხი განიცადა. გახლეჩილი ეროვნული ცნობიერება, წაგებული ომი და დანგრეული ეკონომიკა ამ პოლიტიკის ლოგიკური შედეგია, რა თქმა უნდა, დამლუპველი აღმოჩნდა გამოკვეთილი სტრატეგიული პრინციპების უქონლობა რუსეთთან ურთიერთობაში, ხოლო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გამეფებულმა რესტავრატორულმა, ანტირეფორმისტულმა განწყობილებებმა კიდევ უფრო გააღრმავეს ქვეყნის ნგრევის პროცესი. საფრთხე შეექმნა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ერის ფიზიკურ არსებობასაც.

ამ ეტაპზე ხელისუფლების უმწვავესი კრიზისის დასაძლევად საჭიროა ხელისუფლების ახლანდელი სტრუქტურის შეცვლა რეალური პოლიტიკური ბალანსის ზუსტი გათვალისწინების, ალბათ, შესაძლებელია საკონსტიტუციო კომისიის რეორგანიზაცია მისთვის გარკვეული უფლებების დელეგირებით (ვთქვათ, კონსტიტუციის პროექტის რეფერენდუმზე გატანის უფლების მინიჭება) და კომისიის შემადგენლობის გადახალისება მთელი პოლიტიკური სპექტრის ჩართვით. ამავე დროს უმოკლეს ვადაში უნდა მოამზადოს ახალი არჩევნების კანონი, ხოლო არჩევნებამდე აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადაეცეს კოალიციურ მთავრობას, რომელიც ჩამოყალიბდება საკონსტიტუციო კომისიასთან შეთანხმებით.

ორი წლის წინანდელი კრიზისის დროს, როდესაც იწერებოდა „ქარტია 91“ საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობისათვის“, ჩვენ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ის პრინციპები, რომელთაც, ჩვენის აზრით, უნდა დაფუძნებოდა ეროვნული თანხმობა და მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, ამ პრინციპებს, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ეგებ ახლა მაინც შევძლოთ საერთო ენის მოძებნა და ქვეყანა ძალაუფლებისათვის ბრძოლას არ ვანაცვალოთ. დიდი პოლიტიკური მორიგების გზით ეროვნული ცნობიერების გამთლიანება გადაუდებელი სადღეისო ამოცანაა. ყოვლად დაუშვებელია ხელისუფლების კრიზისის გადაზრდა სახელმწიფოებრიობის კრიზისში და ეს უბრალო ჭეშმარიტება პირველ რიგში თავად ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რათა თუნდაც საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვის ფასად,ქვეყანას ააცილოს დამლუპველი სამოქალაქო ომის საფრთხე.

მიღებულია „ქარტია — 91“-ის კონფერენციაზე.
1993 წლის 21-22 აგვისტო
ჭუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი — პერპეტუუმ-მობილე

ანუ დედამიწის გარშემო ნაკვალევზე

დასასრული. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

გარემოებათა დამთხვევის გამო, მსოფლიოს გარშემო მოგზაურ ბატონ ჯუმბერ ლეჟავს გაძლიერებულთა ჯგუფში, საქართველოში არსებულმა ყველა პოლიტიკური მრწამსის ადამიანმა მოვიარეთ თავი. ერთ „რაფში“ იყვნენ, როგორც ორთოდოქსი ზვიადისტები და კომუნისტები, ისე ნეიტრალები და ზომიერები. მიუხედავად ამისა, საოცარი ჰარმონია სუფევდა (თუმცა,ბუნებრივია, კამათი ტემპერამენტის მიხედვით მიმდინარეობდა.) ამის მიზეზი გახლდათ საერთო მზანი. ამ საოცარმა კაცმა, რომელიც მეგრად მიიწევდა ველოსიპედითთ წინ, ყველა გაგვაერთიანა. ბავშვივით გვიხაროდა, როდესაც მოგზაურს სცნობდნენ და ხელის აწევით ესალმებოდნენ. ამ მხრივ ყველას გადაეჩარბეს აჭარლებმა, რომლებიც, რატომღაც, საქართველოს სხვა კუთხეების ხალხზე მეტად იყვნენ ინფორმირებული. გაუსვიადებლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ბატონმა ჯუმბერმა აჭარის მთელ ტერიტორიაზე ველოსიპედი ცალი ხელით ატარა — მეორეთი მესალმებაზე პასუხობდა.

ეს უფრო გვიან მოხდა, მანამდე კი (ამ წერილის პირველი ნაწილის წამკითხველებს მოეხსენებათ), საბერძნეთში ერთ ვერ გავათიეთ და ახლა ლანჩხუთში მივემგზავრებით ბედის საძიებლად.

„კაგეგეს“ მაიორი — ყაჩალი

დაახლოებით ღამის ათ საათზე, ინდური ჟენერალობის სოფელ ჯაპასს პოლიციის ინსპექციის საგუშაგოს ჩავუარეთ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩვენი გამცილებელი პოლიციელები დაგვწიენ — ჯაპასს ინსპექტორები გიჭზე გვეპატიჟებიან და ეკან დაბრუნდითო. ისე კართ დაღლილები, რომ ხოგს ძილი ურჩევნია მაგრამ ჩვენი მძღოლის ბატონი ჯუმალის ფრთიანი ნათქვამი, „ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ ადგებაო“, ჩვენც გვახსენებს, რომ ბიოლოგიური არსებები ვართ. ესეც რომ არ იყოს, „რაფი“ მოტრიალებულია ფარები იმ წყვდიადს ანათებენ რომელიც ეს-ესაა გამოვიარეთ.



როგორც ყველგან, ჩვენი ეს შეხვედრაც ლექცია-პრესკონფერენციით მთავრდება. მაგონდება რომ ადრდებსაც ვაგროვებ და ამ შუალამისას [illegible] ინტერნატს, [illegible] საკანდელიძეს ვიმარტოხელებ.

დარდი №7. დარდი და პრობლემა ჩვენ რომ გვაქვს, ვის ეშინია, მაგრამ ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, არა გვაქვს იარაღი და საჭირო რაოდენობით ვაზნები. შიშველი ხელებით კბილებამდე შეიარაღებულ ბოროტმოქმედებთან ბრძოლა, მგეხსენებათ, სიცოცხლის რისკთ ნა დაკავშირებული. თუ [illegible] რაც შეგვიძლია თავს არ ვზოგავთ. გუშინ ერთ ჩვენ თანამშრომელს თურქ ტურისტების მძღოლმა ანიშნა, გვაჩალებენო. სანამ პოლიციელები შეიარაღებდნენ, ბანდიტებს ავტობუსი სიმინდის ყანაში გადაეყენებინათ და ტურისტებს პირწმინდად ძარცვავდნენ. ჩვენებმა ალყა შემოარტყეს და ექვსი თავლაზეხელიდან სამი დაიჭირეს (დარჩენების ვერიც დღეგენილია) და იცით ყაჩაღებს ორის ვინ აღმოჩნდა? ოზურგეთის „კგბ“-ს მაიორი...

ძილი შიმშილზე ძლიერი აღმოჩნდა. ბატონ ჯუმბერს საგუშაგოს დასასვენებელ ოთახში „ჩაეწყვა“ საქმე რამდენიმე კი ოფაში გვაქვს თავი ჩაეხლართული. პირველის ნაზეარზე გადეკეთებენ და პროექტორის შექზე აშკარად ჩანს, რომ მასპინძლებს ეოქვთ მაგივრად ბურვაკი „შემოუტყეებიათ“. თავს ზვითი ძალა არაა და ეუსხლებით იმპროვიზირებულ სუფრას.

მეთევზეთა ნოგათი

ლანჩხუთში შუაღამისას შევდივართ და სასტუმრო „მესხეთში“ ვბინავდებით. დილით სასტუმროსთან ლანჩხუთელებმა მოიყარეს თავი. სანამ ბატონი ჯუმბერი ყველა და პურს შეექცეოდა და ველოსიპედი მოყავდა წესრიგში, ვგანჯი მანიამ მომენტი არ გაუშვა და პრესკონფერენცია გამართა. როდესაც გურულებმა გაიგეს, რომ არსებობდა მოგზაურის ფონდი, რაიონის ელექსელის უფროსმა კობა ციხაძემ 50 ათასი კუპონის ჩარიცხვა აღგვითქვა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მამანტი თევზაძემ და „გურიის „მწვრთნელ-ფეხბურთელმა გოჩა ხიტირმა, რომლებმაც შესაბამისად 5 და 10 ათასი კუპონი ნაღდი ფული გაიღეს. 5 ათასი კუპონი შეიტანა იქმიელინებითთ მყოფმა ჩვენს ძველმა ნაცნობმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა აკრობატკაში ჰამლეტ სუთიტმ.

ისევ გზა. ამჯერად ფოთში უნდა შევიდეთ. წამოეინაცლა. რაფელები კვლავ დაგწინაურდით და სუფსასთან, გზის გასაყართან, გავჩერდით. ჩვენს გვერდით შუახნის ბლეხი ღვან და ორი ავსე ტომრით ტრანსპორტს ელოდება. თუმცა დიდი იმედი არა აქვს. რომ გაიგო, ფოთში მივდივართ, თვალები გაბრწყინდა. ცსარგებლობ შემთხვევით, მის დარდს ვიწერ.

დარდი №8.ვილპელმ თალაკვაძეწუწელ გადაუთიდან ჩვენს სოფელში ცოლ-ქმარი ჩამოვიდა ბავშვით. ისეთ რამეებს ყვებოდნენ, თმები ფალეზე დაგვიდგა. გურული კაცისთვის მთავარი, მოგეხსენებათ, მშვიდობა. პირდა გაჭირვება არა მაქვს.ეგაა რომ პურის შოვნა ჭირს და ძაღდს და ღორს გვახლებთ. 8—9 ტონა სიმინდი მომყავს, რვა სული ძროხა მყავს და სარჩო საბადებელი არ მაკლია. გაჭირვება კიდევ ისა გვაქვს, რომ გაძლელა მისვლა-მოსვლა. სამი საათი ველოდე ტრანსპორტს და თქვენ რომ არ შეხვედროდით შეიძლება სახლში მივბრუნებულიყავი.

ჩვენებურ კაცზე კი იმას ვეტყვით რომ ისეთი მკაცრი უნდა გახდეს, როგორც ცეკას მდივნობის დროს იყო, სხვაგვარად ამ ხალხს ვერ მოთოკავ სტალინს ომი შიშით მოიგო.

ფოთის შესასვლელიან, სადაც რიონი ზღვას უერთდება, მეთევზეებმა დაკვწყარი შეხვედრა მოუწყეს ბატონ ჯუმბერს. მშვიდობით დაბრუნება უსურვეს და პირველი დაჭერილი თევზი მთლიანად გადასცეს.

ცომაიეგის ოჯახში

ფოთში წვიმამ თავისებური გამოცდა მოუწყო მოგზაურს — სულ მთლად გაილუმპა. ვეგმით უნდა მოგვესახულებინა ჯუმბერ ცომაია, რომელმაც სამი წლის წინ იასტით შემოუარა მსოფლიოს. საბუნაროდ ეგი არ დგვხვდა, საზღვარგარეთ იყო. მიუხედავად ამისა მისმა მშობლებმა ქალბატონმა ნელიმ და ბატონმა რაინდმა გულმხურვალედ მიგვიღეს.

ბატონი რაინდი: 22 წელი ვეცურე გემით. პურს ვაცხობდი. ბევრი ქვეყანა მაქვს შემოვლილი.ბატონ ჯუმბერს კუსურვებ, ჩემი შვილივით წარმატებით დაეგვირგვინებინოს მსოფლიო მოგზაურობა. ისე ველოსიპედით მეც ბევრი მივლია. ეგარის რომ ორი მომპარეს და ახლახან მესამე შევიძინე.

ოამპანურით გაწყწული ველოსიპედი

ჩოლოქთან (აჭარის საზღვარი), რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული ბეტონის ფილები გვიძღვებენ ნელა, ზიგზაგით შევდეთ. აქ უკვე იცან რომ ბატონი ჯუმბერი გამოიელის და პატივსცემით გვხვდებიან. ეგ არის, რომ აჭარის კანონით, იარაღიანებს არ უშვებენ და ჩვენი პოლიციელები იძულებული ხდებიან ამ სამართლიან კანონს დაემორჩილონ.

საბაჟოს თანამშრომელი, ქობულეთის „შუქურას“ ყოფილი მეკარე თამაზ მჟავანაძე შამპანურს ხსნის და დალიცვის შემდეგ ბატონი ჯუმბერის ველოსიპედს ასხამს. მასპინძლები იქვე კაფეში გეპატიჟებენ.

ბარკოვში საგანგებოდ დამზადებულმა ველოსიპედმა თავისი შელახული რეპუტაცია აჭარის რთულ, ძნელად დასაძლევ აღმართებზე გამოასწორა. ბატონმა ჯუმბერმა ადვილად გადალახა ეს დაბრკოლებები.

ქოქოთა ბათუმში ადგილობრივი ტელევიზია ფეხდაფეხ მოჰყვა. ინტერვიუც ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა წრეში შედგა. მათი ყველაზე დიდი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ბატონ ჯუმბერს დაღლილობა არ ეტყობოდა.

ერთი „უხერხულობა“, რომელმაც ყველა თბილისელი შეგვიჯყრო ისაა, რომ არ დადიან შეიარაღებული ფორმიანი თუ უფორმო ადამიანები და ჩვენს ყურთასმენას არ „ატკბობს“ ავტომატის კაკანი.

13 — ბედნიერი ციფრი

სასტუმროში დავბინავდით. წინა ორ სასტუმროსთან შედარებით აქ ყველა ოთახში სათუნაა ჩამოკიდებული და რაც ყველაზე საკვირველია — ანათებენ.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურის „მერანა“ ლ თვით მისმა პატრონმა მე-13 სართულის, მე-13 ოთახში დაიდეს ბინა.

ციფრი 13 ბატონი ჯუმბერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მან ყველა გინესის რეკორდი სწორედ ამ თარს რიცხვში დამყარა. ეს ციფრი იყო მიზეზი, რომ რუსთავიდან სტარტი 13 აგვისტოს, ათის 13 წუთზე აიღო. აი, ის კი, რომ ბატონი ჯუმბერის თხოვნით, მე გამცილებელთა ჯგუფში მე-13 კაცად შემიყვანეს, როგორც მისი პირველი წარმატების თავგამოდებული პროპაგანდისტი, ხრულიად შემოხვევით მოხდა.

ორშაბათს ძველი ფურცლა დავბრუნეთ და დაბეჭდვის დროდ გამოვცხადეთ. თუმცა, ეს ვამოცხადეს, უფრო პირობითი იყო. ამ დღეს მოგვარდა ზოგიერთი ორგანიზაციული პრობლემა. გაიმართა პრესკონფერენცია. ამ დღეს ინახულა ბატონმა ჯუმბერმა მეგობრის საფლავი. ჩვენი ეს ინტერვიუც ორშაბათს დილით ბათუმის პლაჟზე შედგა. მანამდე მოგზაურმა დაგვიმტკიცა, რომ წყლის მხრივ მას ხიფათი არ ელოდა. იგი, როგორც ამ საქმის მთავარმა ექსპერტმა“, საქართველოს ეჭრმპიონმა ცურვაში ავთანდილ გურასაშვილმა აღნიშნა, კარგად ფლობდა ცურვის ჩვეულებს.

(აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ პლაჟი ზაფხულისთვის, საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა. გასულ წლებში თუ კაცი ფეხს ვერ აუკიდებდა დამსვენებელს, დღეს ეს პრობლემა მთლიანად მოიხსნა, უსაშ-ფსიქოლოგიური ბარიერები დაძლიეს. მარტო იმის წარმოდგენა და შეგუება, როგორია, რომ, ამ ხნის განმავლობაში, ექვს ისეთ ქვეყანაში მომიწევს გავლა, სადაც ადამიანთ ხორცი დიდ პატივშია. არანკლები საშიშროება მელის ჯუნგლებში, ტუნდრებში და ზამთარში. ხოლო უდაბნოში, ველოსიპედი, 35 კილოგრამიანი ტვირთით, უმეტესად მე უნდა ვატარო. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურად, ყველაზე ძალიან გამიჭირდა შვილებთან და შვილიშვილებთან დამშვიდობება. ჩემი შვილიშვილების ერთი გაღიმება ხომ მთელ სიცოცხლეს მირჩენია.

ბატონო ჯუმბერ, როდესაც თქვენი მოგზაურობის საკითხი წყდებოდა, საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთი წევრი, სასტიკი წინააღმდეგი ვავიდ — გამცილებლებს ბენზინი დასჭირდებათო . მისთვის რომ დაეჯერებინათ რას იზამდით?

— როდესაც მოგზაურობა გადაწყვიტე, კონსულტაციებით მივმართე ბალტიისპირეთისა და რუსეთის ცნობილ მოგზაურებს. მათ, ვარდა კონსულტაციებისა, სპონსორობა შემომთავაზეს, მაგრამ მე ჩავთვალე, რომ სხვისი სახელით მოგზაურობა საქართველოსთვის შეურაცმყოფელი იქნებოდა. საბედნიეროდ, ეგივე აზრი ჩვენშიც ბევრს აღმოაჩნდა.

— იმ 300 ათასი კილომეტრიდან, რომელსაც თქვენ გაიკლით, 60 ათასი გემით მოგიწევთ, როგორ აპირებთ ამ თავისუფალი დროის გამოყენებას?

-ჩაფიქრებული მაქვს საკუთარ თავზე დაწერო 6-7 ფსიქოლოგიური ნაშრომი.

— თუ საიდუმლო არაა, რა დაჯდება თქვენი მოგზაურობა?

—300—350 ათასი დოლარი. თუმცა ვაპირებ სპონსორებს ტვირთი შეეუმუბუქოთ— გზადაგზა ჩავატარებ ლექციებს და სარეკლამო ფასებს. მე ვთვლი, და ჩემი ცხოვრებაც იმის დასტურია, რომ მკლავებზე აზიდვა ისევე როგორც ძუნძული და აერობიკა, კაცობრიობის ფიზიკურად გაჯანსაღების უბარი საშუალებაა.

—ეს მოგზაურობა, ალბათ გინესის წიგნში თქვენს მე-12 რეკორდად შევა. ხომ არ აპირებთ მოგზაურობის დროს კიდევ გაზარდოთ ეს რიცხვი?

— მინდა იაპონიაში და კანადაში დავამყარო 36 საათიანი რეკორდი მკლავებზე აზიდვაში და გავუმჯობესო, გინესის წიგნში შეტანილი, ველოსიპედით ტრეკზე ნაჩვენები 24 საათიანი რეკორდი.

—ბატონო ჯუმბერ, სათქვამია, მარტო კაცი პერის ჭამაშიც ბრალიაო, არ გიფიქრიათ ვინმე შეგეამხანაგებინათ?

— ცხადია ვიფიქრე, მაგრამ ჩემი ტვირთის რომ ნაწილი ეკისრა, ეს ამ მოგზაურობას უძღვნით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 75-ე წლის თავს. კიდევ ხომ არ იყო რაიმე სტიმული, რომელმაც თქვენ ამხელა გზაზე დაგაყენთ?

— ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ლიასას ხსოვნა. თუმცა ის რომ ცოცხალი ყოფილიყო ამდენი ხნით ოჯახს ვერ მოკვეთდი.

ირაოლები

ეს იყო ჩემი ბოლო ინტერვიუ 21-ე საუკუნემდე. ხვალ, როდესაც ბატონი ჯუმბერი თურქეთის საზღვარს გადაკვეთს, მას მხოლოდ სატელევიზიო პროგრამა „ირაოს“ სამი წვერი გაჰყვება. რეჟისორი რეზო შალიბაშვილი, ოპერატორი ალიკ გრიგორიანი და მხატვარი ზურაბ კალანდაძე.

ისინი მთელი გზა ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ ბატონი ჯუმბერის მოგზაურობის მნიშვნელოვან მომენტებს.

დარდი №10. რეზო შალიბაშვილი. ჩვენთვის ყველასთვის, ამ მოგზაურობაში მონაწილეობამ, გარდა პროფესიული ინტერესისა, პატრიოტიზმთანაა გაგიკეთებული. ხუმრობა ხომ არ არის ქართველმა კაცმა, 7 წლის განმავლობაში, ველოსიპედით უნდა შემოუაროს დედამიწას. გაიცნოს ჩვენი ერის ისტორის, კულტურა და შესაძლებლობები სამწუხაროდ, გაცილების ორგანიზაციაში იყო ხარვეზებიც, რომლებმაც ერთგვარი ჩრდილი მიაყენეს ზეოთ აღნიშნულ გრძნობას. ვიღაცამ რაღაცის ეკონომიითთ ხელი მოიბანა. ეს ეხება, როგორც კვებას ისე ბენზინს თუ სხვა საკითხს.

ბატონ რეზოს ეს დარდი საერთო იყო, ყოველშემთხვევაში ჟურნალისტებისათვის. ამიტომ ორც გაგება გამჭირვებია.

„შვიდ წელიწადს ვერ გნახო“

სამშაბათი. დილა. ეკიპაჟი სრულ მზადყოფნაშია. რაფელებს შემოგვიერთდნენ აჭარის ტელევიზიისა და გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტები.

სარფამდე გზამ შეუმჩნევლად, ემოციურად გაიარა. მიუხედავად ამისა, არ მავიწყდება „ჩაჩაობა“ და „აჭარის“ კორესპონდენტს მანამ ძიძიშვილს ვიწვევ საუბრად.

დარდი №11. ღღეს აჭარაში სი[illegible] ვიდეა ეიმე უშიშრად გამოვდივარ[illegible] ეიც უდავოდ ბატონ ასლან აბაშიძის დამსახურებაა, მაგრამ ძალიან მადარდებს ის, რომ ხელფასს ინსტრუქცია არ მოჰყვება, როგორ უნდა დავხარჯოთ, რომ თვიდანთვემდე გვყოფნ.

სარფის საბაჟოსთან თურქეთში მიმავალთა კილომეტრიანი რიგები. ეკონომიკურმა გაჭირვებამ ჯადოსნური მაკრატლით შეკვეცა.

სასმ ბატონ ჯუმბერს რუსი მესაზღვრე პასპორტში ბეჭედს ჩაურტყამს (აქ, რატომღაც, ყველა საკანძო ადგილზე ამ ერთვნების მესაზღვრეები დგანან), ეკითხები რა დარდი მიგყვებათ მეთქი.

დარდი №12. ყველაზე დიდი დარდი ჩემთვის ისაა, რომ სენაკში ვერ შევიარეთ. იმედი მაქვს, რომ დავბრუნდები ა-



კვლოდ გაძვირებული საგზურისა და ტრანსპორტის გამო. დასვენება საზოგადოების მხოლოდ მცირე, ელიტარული ნაწილისთვის გახდა ხელმისაწვდომი).

— ბატონო ჯუმბერ, კაცი ოჯახიდან რამდენიმე დღითაც, რომ გადის, უჭირს შეჩვეულ გარემოსთან მოცილება . თქვენ კი, მთელი შვიდი წლით მიემგზავრებით.

— აქ მთავარი იცით რა არის? დედამიწა შენ სახლად უნდა ჩათვალო. ეს აზრი რომ გამეთავისებინა საკმაოდ რთული მაის კაცი ვერ ვნახე. ჟმას გარდა მოგზაურობის დროს კაცს სურვილის მოწინააღმდეგე არ უნდა ჰყავდეს.

სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, ერთმა ქალბატონმა ტელეფონით მაიძულა და შევხვდი. გამომიტყდა შენთან ერთად მინდა მოგზაურობა. იგი იმაზეც კი თანახმა იყო ზედმეტი წონა, თითქმის ნახევარი,დაეკლო. მეორედ 32 წლის, ხრულიად უგარჯიშებელმა,ახალგაზრდამ თხოვა წამეყვანა იმ იმედით— „ამიყოლიეო“.

ქართველი, არა მარტო გაერთიანებული, დამოუკიდებელი, ეკონომიკურად აყვავებული დამზვდება.

დარდი №13. ეს „თარსი“ დარდი , ჩვენ, გამცილებლებს გვრჩება, რომ 7 წელი ვერ ვნახავთ ამ საოცარ ადამიანს. ადამიანს, რომელმაც დედამიწა თავის სახლად ჩათვალა.

ჯემალ ქასრაძე

ჩვენი სპეციკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნოკონფლიქტები — დღევანდელი მსოფლიოს ტრაგიკული სინამდვილე

გაგრძელება

ლი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ცენტრს“.

მაგრამ ის, რაც ბოლო პერიოდში მოხდა, ალბათ თვით რუსეთის ხელისუფალთათვისაც კი მოულოდნელი იყო; რესპუბლიკად გამოცხადდა ქვეყნის ისეთი რიგითი ადმინისტრაციული ერთეულები, როგორიცაა სვერდლოვსკისა და ვოლოგდის ოლქები. ასეთი ტენდენციის გაღრმავებამ, შესაძლოა, ახლო მომავალში რუსეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

ანალოგიური პრობლემების წინაშე დგას მსოფლიოს სხვა გიგანტი სახელმწიფო — ინდოეთიც, რომლისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადღეისო პრობლემას, რუსეთის მსგავსად, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენს. ამ ქვეყნის ისეთი შტატები, როგორებიცაა მაგალითად, ასამი, ქაშმირი, ჯამუ და პენჯაბი, არ მალავენ, რომ სურთ ინდოეთიდან გამოყოფა და დამოუკიდებლად არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შტატებში სხვადასხვა დროს გამოცხადდა საპრეზიდენტო მმართველობა და შეყვანილ იქნა ინდოეთის რეგულარული არმიის ნაწილები, ამ ოპერაციას აღნიშნულ „მეამბოხე შტატებისა“ და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირებაში რაიმე კარდინალური ცვლილებები არ მოუხდენია, რადგან ასამის, ქაშმირის, ჯამუს და პენჯაბის შტატების შეიარაღებულ ფორმირებებს მუდმივი კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ხშირ შემთხვევაში კოორდინირებულად მოქმედებენ.

ასამის ხელისუფალთ, შტატის არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის მიუხედავად (იგი ფაქტიურად ანკლავს წარმოადგენს, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო სახმელეთო საზღვარს ბუტანთან და ბენგლადეშინთან, საზღვაო საზღვარი კი საერთოდ არა აქვს) მიაჩნიათ, რომ შტატი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შესძლებს თავისი ეკონომიკური პოტენციალის სრულ ამოქმედებას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სამხრეთ აზიის რეგიონში. „ეკონომიკური სასწაულის“ დიდი იმედი აქვთ სინგჰებსაც — პენჯაბის შტატის მოსახლეობის ძირითად ნაწილს, რომელიც ცდილობს თავისი ოცნება — დემოკრატიული „ჰალისტანის სახელმწიფოს“ შექმნა რეალობად აქციოს.

ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტა ხშირად ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს სცილდება და მეზობელ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების საფუძველი ხდება. მაგალითად, ინდოეთის მთავრობას ჯამუსა და ქაშმირის ხელისუფლებთან დაპირისპირების გარდა, რომლებიც დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოების შექმნას მოითხოვენ, ამ შტატების გამო დაძაბული ურთიერთობა აქვს პაკისტანთან, რადგან ამ უკანასკნელს არც თუ ისე შორეული წარსულიდან მოყოლებული, საკუთარი პრეტენზიები გააჩნია აღნიშნულ ტერიტორიებზე.

მეორე მაგალითი: უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკოსების ყურადღება მიიპყრო ეგვიპტე-სუდანის სასაზღვრო ადმინისტრაციულმა ერთეულმა — სალაიბმა. სუდანმა პროტესტის ნოტაც კი გააგზავნა გაეროში, რომელშიც ეგვიპტე „სუდანის ტერიტორიაზე აგრესიის განხორციელებაში“ დაადანაშაულა. 600 ეგვიპტელი სამხედრო მოსამსახურის შეყვანას სალაიბში შეიძლება ორ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფრონტაცია მოჰყვეს. ეგვიპტის მხარე არ უარყოფს აღნიშნულ რაიონში თავისი ჯარების შეყვანის ფაქტს და ამ ტერიტორიას თავისად მიიჩნევს. ამ კონფლიქტის თავი და თავი კი ის არის, რომ 1899 წელს, როცა გაივლო ეგვიპტე-სუდანის სახელმწიფო საზღვარი, მხედველობაში არ იქნა მიღებული ამ რაიონის მცხოვრებთა ეთნიკური თავისებურებანი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტა მით უფრო იოლია, რაც ოფრო ნაკლები ეთნიკური ერთეული ან სახელმწიფოა მასში ჩაბმული. ზემოთაღწერილ შემთხვევებში კონფლიქტები ხდებოდა ერთი, თუნდაც ტერიტორიულად უზარმაზარი ქვეყნის (რუსეთი, ინდოეთი) შიგნით ან ორ სახელმწიფოს შორის (ინდოეთ-პაკისტანი, ეგვიპტე-სუდანი). ასეთ ვითარებაში კომპრომისის გამონახვა და წინააღმდეგობების აღმოფხვრა დაპირისპირებულ მხარეთა შორის შედარებით იოლია და ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება კონფლიქტების ლოკალიზება, ხდება მისი არეალის თანდათანობითი გაფართოება, მასშტაბების ზრდა, მასში ახალ-ახალი მონაწილე მხარეების ჩართვა. ამ დროს კონფლიქტი უფრო რეგიონალურ ხასიათს ღებულობს და მისი გადაწყვეტა მშვიდობიანი გზებით ნაკლებად რეალური ხდება.

ისეთი რეგიონები, სადაც ფართომასშტაბიანი ეთნოკონფლიქტებია გაჩაღებული, დღევანდელ მსოფლიოში საკმაოდ ბევრია. ესენია: ახლო აღმოსავლეთი, კავკასია, შუა აზია, ბალკანეთი და სხვა.

• ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე „ხანდაზმულია“ მსოფლიოში. იგი თითქმის ნახევარი საუკუნეა გრძელდება და მასში მეტნაკლები სიმწვავით რეგიონის ათამდე სახელმწიფოა ჩაბმული. თუმცა ბოლო პერიოდში ამ კონფლიქტის რეგულირების საკითხში გარკვეული პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა, იგი მაინც ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო გადაწყვეტამდე.

კავკასიაშიც უკანასკნელ ხანს ეთნიკურმა გართულებებმა უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო და მიუხედავად ერთმანეთისაგან ტერიტორიული იზოლირებულობისა (ყარაბახი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ოსეთ-ინგუშეთი) მაინც იგრძნობა მათი ორგანიზების საერთო ხელწერა და ისინი ხშირად ხელოვნურად შეკოწიწებული წინააღმდეგობების შთაბეჭდილებას ტოვებენ. იგივე შეიძლება ითქვას კონფლიქტზე შუა აზიაში, სადაც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს მისი მონაწილე მხარეების (ტაჯიკეთი, ავღანეთი, რუსეთის შეიარაღებული ძალები) მიზნები და ინტერესები.

რაც შეეხება ბალკანეთის კონფლიქტს, იგი იუგოსლავიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დაიწყო და თავიდან საკმაოდ ლოკალური ხასიათი ჰქონდა (სერბეთ-სლოვენიის დაპირისპირება), მაგრამ მას შემდეგ რაც სერბეთის სახალხო არმიას კატასტროფული მარცხი აგემა პატარა სლოვენიამ, კონფლიქტში ჩაირთო ჯერ ხორვატია, შემდეგ კი ბოსნია — ჰერცეგოვინა. არსებობს ამ მწვავესი კონფლიქტის კიდევ უფრო გაფართოების საშიშროება, თუ მასში ჩაება იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი სუბიექტი — „იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია“, რომელიც გაერომ მიმდინარე წლის აპრილში ამ სახელწოდებით თავის რიგებში 181-ე წევრად მიიღო.

ამჟამად ამ ქვეყანაში მიმდინარეობს გაეროს ეგიდით „ცისფერი ჩაფხუტების“ ქვედანაყოფების შეყვანა დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, რადგან არსებობს საშიშროება მაკედონიის ირგვლივ კონფლიქტში საბერძნეთის და ბულგარეთის ჩარევისა (მათ თავიანთი სტრატეგიული ინტერესები აქვთ ამ რეგიონში). ეს კი ამ ისედაც ურთულეს კონფლიქტს სრულიად უმართავს გახდის.

ეთნოკონფლიქტებზე საუბარი არასრული გამოგვივა, თუ მხოლოდ მისი მასშტაბების (ტერიტორიის სიდიდე, კონფლიქტის მონაწილეთა რაოდენობა) შესახებ ვიმსჯელებთ და არ გავითვალისწინებთ მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურს, სხვადასხვა სტადიას, სიმწვავის სხვადასხვა ხარისხს.

ამ თვალსაზრისით, (რა თქმა უნდა, პირობითად) ეთნოკონფლიქტები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: — კონფლიქტები, რომლებიც ჩანასახოვან მდგომარეობაში ან საწყის სტადიაში იმყოფებიან და შეიძლება ახლო მომავალში მთელი ძალით გაჩაღდეს, თუ არ მოიძებნა მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები;

— კონფლიქტები, რომლებიც ამჟამად ჩამქრალია, მაგრამ არსებობს მათი განახლების პოტენციური შესაძლებლობა;

— კონფლიქტები, რომლებიც შეიარაღებული ძალების გამოყენებით მიმდინარეობს, თან ახლავს სისხლისღვრა და ჯერჯერობით შორს დგას საბოლოო გადაწყვეტისაგან.

პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და თავისებურებანი განვიხილოთ კვებეკის პროვინციის, აგრეთვე ესპანეთისა და ქურთისტანის მაგალითზე.

კვებეკის ფრანგულენოვანმა პროვინციამ კანადიდან გამოყოფის საკითხი მეოთხედი საუკუნის წინ წამოჭრა. ეს საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა ბოლო ათწლეულში. 1980 წელს პროვინციაში მოწყობილ რეფერენდუმზე სეპარატისტულმა ძალებმა მარცხი განიცადეს და ბევრმა მიიჩნია, რომ ეს პრობლემა (კანადის ფედერაციული სახელმწიფოდან კვებეკის პროვინციის გასვლა) ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ უკვე 1982 წელს კვებეკი ერთადერთი პროვინცია აღმოჩნდა ქვეყანაში, რომელმაც უარი განაცხადა ხელი მოეწერა საკონსტიტუციო აქტზე. თუმცა 1987 წელს მიჩ-ლეიკში მაინც დაიდო შეთანხმება პროვინციასა და ფედერალურ მთავრობას შორის, რომელიც ითვალისწინებს კვებეკის მოთხოვნებს მათი უფლებების გაფართოების შესახებ.

დღეისათვის არსებობს საკითხის რეგულირების სამი ალტერნატიული ფორმა: 1) კანადის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს კვებეკისათვის „განსაკუთრებული სტატუსის“ მინიჭებას. 2) ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც კვებეკს მიანიჭებს პოლიტიკურ სუვერენიტეტს, მაგრამ შეუნარჩუნებს ეკონომიკურ კონფედერაციას კანადასთან (სუვერენიტეტ-ასოციაცია) და 3) სრული გამოყოფა (სუვერენიტეტი ასოციაციის გარეშე).

ამჟამად, სულ უფრო იზრდება იმ კვებეკელთა რიცხვი, რომელთაც სურთ თავიანთი პროვინციის სუვერენიტეტი ამა თუ იმ ფორმით, მაშინ როდესაც კანადელთა უმრავლესობას (კვებეკის გამოკლებით) არ სურს კვებეკის სუვერენიზაციის ისეთი ხარისხი, როგორსაც ამ „ურჩ პროვინციაში“ მოითხოვენ. მაგრამ ამავე დროს კანადაში კატეგორიულად უარყოფენ ძალადობას, როგორც საკითხის გადაწყვეტის საშუალებას, თავის მხრივ, კვებეკელთა აბსოლუტური უმრავლესობაც უარყოფს ძალადობას, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას.

თითქმის ანალოგიური პრობლემები აწუხებთ ესპანეთის თანამედროვე ხელისუფალთაც, თუმცა „ურჩი პროვინციების“ რიცხვი, კანადასთან შედარებით, აქ გაცილებით მეტია.

დემოკრატიზაციის პროცესმა, რომელიც ესპანეთში გენერალისიმუს ფრანკოს სიკვდილის შემდეგ დაიწყო, ესპანეთის რიგ პროვინციებში ავტონომიის მიღებისათვის მძლავრი მოძრაობა გამოიწვია. ამ მოძრაობამ ყველაზე დიდ მასშტაბებს ბასკეთსა და კატალონიაში მიაღწია (ფრანკოს ხელისუფლებაში მოსვლამდე ორივეს ავტონომიის სტატუსი გააჩნდა).

1979—1980 წლებში ბასკებმა და კატალონიელებმა კვლავ მოიპოვეს სახელმწიფოს და პარლამენტის ყოლის უფლება. მალე სხვა ისტორიულმა პროვინციებმაც — ანდალუზიამ და გალისიამაც დაიბრუნეს ფრანკოს მმართველობის წლებში დაკარგული ავტონომიის უფლება. ასეთივე სტატუსი მიიღეს სხვა პროვინციებმაც, რომლებიც ადრე ამაზე ვერც კი ოცნებობდნენ.

უკანასკნელ პერიოდამდე მადრიდის და ავტონომიების ხელისუფალნი ასე თუ ისე კმაყოფილნი იყვნენ არსებული მდგომარეობით და ერთმანეთის მიმართ დიდი პრეტენზიები არ გააჩნდათ. მაგრამ ამ ბოლო დროს ერთიანი ესპანეთის შენობას ბზარები დაეტყო.

პირველი საშიში სიმპტომები ქვეყანაში იუგოსლავიისა და სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაჩნდა. ბასკეთში კვლავ გაიხსენეს თითქოს მივიწყებული ესპანეთიდან გამოყოფისა და სამხრეთ საფრანგეთის ბასკურენოვან პროვინციებთან ერთად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა. მაგრამ ესპანეთის და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა თვით ამ საკითხის განხილვაზეც კი მტკიცე უარი განაცხადეს, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად გააქტიურდა არალეგალური ბასკური ორგანიზაცია ეტა (ეუსკალო ტა ასკატასუნა — ბასკეთის ქვეყანა და თავისუფლება), რომელიც ტერორისტული აქტებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ესპანეთის ხელისუფალთ.

„დიდ დამოუკიდებლობაზე“ ალაპარაკდნენ კატალონიაშიც. ამ მხარეს, ერთი შეხედვით, თითქოს არ სურს მადრიდისაგან სრული გამოყოფა და კმაყოფილნი იქნებიან ავტონომიის ჩარჩოებშიც, ოღონდ სამი პირობით: 1) საკუთარ ტერიტორიას გაუწიონ პოლიტიკური კონტროლი; 2) მადრიდმა აღიაროს კატალონი ელთ ენობრივი და კულტურული თავისებურებანი და 3) გადაისინჯოს ფინანსური ურთიერთობანი ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ბასკებისა და კატალონიელების შემდეგ ავტონომიზაციის „ვირუსით დაავადნენ“ და ამოძრავდნენ სხვა, ტრადიციულად მშვიდი პროვინციები: (ვალენსია, ესტრამადურა, მურსია და სხვა), რამაც აიძულა ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ, თუნდაც ფორმალურ დათმობებზე წასუ

ლიყო: შემუშავდა წყნარი ავტონომიზაციის“ პროექტი, რომელიც გათვალისწინებული იყო „ავტონომისტების“ ამბიციების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მოხდა პირიქით: „მშვიდმა“ პროვინციებმა ზოითხოვეს ისეთივე უფლებამოსილებანი, როგორიც გააჩნიათ მაგალითად, კატალონიასა და გალისიას, რამაც ესპანეთის ხელისუფალნი ჩიხში მოაქცია.

მსგავსი პრობლემების (საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, უარეს შემთხვევაში ავტონომიის მოპოვება და ამ ნიადაგზე კონფლიქტი იმ ქვეყნების ხელისუფლებთან, სადაც ისინი ცხოვრობენ) წინაშე, ოღონდ უფრო მძიმე პირობებში, დგანან ქურთთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელები.

ისტორიულ ქურთისტანს უზარმაზარი ტერიტორია უკავია, რომლის დაახლოებით ნახევარი თურქეთის შემადგენლობაში შედის, 100 ათასი კვ.კმ. ირანში, 75 ათასი კვ.კმ — ერაყში, დანარჩენი — სირიაში. აქედან გამომდინარე, ქურთთა დამოუკიდებლობის ან მათი ავტონომიზაციის საკითხი, მეტნაკლებად საჩოთირო პრობლემებს ქმნის ზემოთდასახელებული ქვეყნებისათვის.

ერაყ-კუვეიტის ომის დამთავრების შემდეგ თითქოს გაჩნდა პერსპექტივა ნაწილობრივ მაინც გადაჭრილიყო ქურთთა საკითხი, მაგრამ ერაყში სადამ ჰუსეინის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების შემდეგ ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება გარკვეული ვადით გადაიდო. ქურთთა ამჟამინდელი ლიდერები (მასუდ ბარზანი, ჯალალ ად-ტალაბანი) ანგარიშს უწევენ დღევანდელ სიტუაციას, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგის რეალიზაცია და კმაყოფილდებიან ჩრდილოეთ ერაყში ავტონომიური ერთეულის (ერაყის ფარგლებში) შექმნის მოთხოვნით. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით ზომიერი მოთხოვნაც კი ერაყისა და მისი მეზობელი ქვეყნების მმართველთა ნეგატიურ რეაქციას იწვევს. ირკვევა, რომ თურქეთის, ირანისა და სირიის წარმომადგენლებს მუდმივი საიდუმლო კონსულტაციები აქვთ ქურთთა საკითხებზე, რათა არ დაუშვან მათთვის ავტონომიის მინიჭება. მიმდინარე წლის თებერვალში ამ სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დამასკოში გამართულ თათბირზე ოფიციალურად გაანაცხადეს: „რუკაზე დამოუკიდებელი ქურთისტანის გაჩენა გაართულებს ვითარებას რეგიონში, მოახდენს ვითარების დესტაბილიზაციას მთლიანად ახლო აღმოსავლეთში“.

არსებული ვითარების მარტივი ანალიზიც კი ადასტურებს, რომ ესპანეთის რიგი პროვინციების, აგრეთვე კვებეკის და ქურთისტანის მსგავსად, ეთნიკური დაპირისპირების ნიშნები, მართალია სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ მაინც შეინიშნება რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში (მაგ: ყირიმი და სახა (იაკუტია) ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე, სინძიანი ჩინეთში, კაზამანსის პროვინცია სენეგალში და ა. შ.), რომელთა იგნორირებამ შეიძლება დიდი სირთულეები წარმოქმნას.

რაც შეეხება ეთნიკური კონფლიქტების მეორე ჯგუფს (რომლებიც ჩააქრეს, მაგრამ არსებობს მათი განახლების შესაძლებლობა), მასში შემავალი ქვეყნების რაოდენობაც და აქედან გამომდინარე ხელახალი ეთნოკონფლიქტების რისკის ფაქტორიც, საკმაოდ დიდია. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ყოფილი სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი და ინგუშეთ-ოსეთის კონფლიქტი ყოფილ საბჭოთა კავშირში, ლიბანი, კვიპროსი და ოლსტერის პრობლემა დიდ ბრიტანეთში, ტიბეტის საკითხი და ა. შ.

ოლსტერის კონფლიქტს საფუძვლად უდევს როგორც რელიგიური ფაქტორი (ჩრდ. ირლანდიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარნი არიან, ინგლისელები — ანგლიკანურის), ასევე ეროვნული — ჩრდილოეთ ირლანდიელთა ბრძოლა ირლანდიასთან გაერთიანებისათვის. ეს კონფლიქტი 1969 წელს ჩრდილოეთ. ირლანდიაში ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის შეყვანით კიდევ უფრო გამწვავდა და უკვე სამი ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ინგლისის მმართველ წრეებსა და ჩრდილოეთ. ირლანდიის ლეგალურ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული სამშვიდობო დიალოგი იმედს იძლევა, რომ „ბრიტანეთის უკანასკნელი თეთრი კოლონიის“ არსებობა ისტორიის კუთვნილება გახდება.

ჩრდილოეთ ირლანდიელთა მსგავსად ტიბეტელებიც მრავალჯერ ეცადნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, როგორც აჯანყებების ასევე მშვიდობიანი გზით, მაგრამ მათ ყოველ ასეთ მსვლელობას ჩინეთის ხელისუფალნიც სპასუხო დამსჯელი ღონისძიებებით პასუხობდნენ, ტიბეტელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის სათავეში მათი სულიერი მოძღვარი — დალაილამა უდგას, რომელიც 1959 წლის აჯანყების შემდეგ ემიგრაციაშია და ინდოეთში ცხოვრობს.

დღეისათვის ოლსტერისა და ტიბეტის პრობლემები ერთი შეხედვით მოწესრიგებულ, ცენტრალური ხელისუფლების მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული ამოცანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ მათი არასტაბილური ხასიათი და შინაგანი დაძაბულობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ჯერ კიდევ მეტად ფეთქებადნი არიან და შორს არიან საბოლოო გადაწყვეტისაგან.

ეთნოკონფლიქტების მესამე (პირობით) ჯგუფს ჩვენ ის კონფლიქტები მივაკუთვნეთ, რომლებიც ამჟამად შეიარაღებული ძალების გამოყენებით წარმოებს, თან ახლავს სისხლისღვრა და დიდძალი მსხვერპლი. ასეთი ადგილები დღეს მსოფლიოში საკმარისზე მეტია (მაგ: ყოფილი იუგსლავია, ყარაბახი, ტაჯიკეთი, ცალკეული რეგიონები აფრიკაში და ა. შ.). მათზე საკმაოდ ბევრი იწერება, მკითხველი მათი შესახებ კარგად არის ინფორმირებული. ამიტომ ყურადღებას მხოლოდ ერთ ნეგატიურ მხარეზე გავამახვილებთ, რაც ჩვეულებრივ თან ახლავს ასეთ კონფლიქტებს. ეს არის ლტოლვილების პრობლემა: ინგლისური ყოველკვირეულის „გარდიან უიკლის“ მონაცემებით, 1990 წელს ევროპაში ლტოლვილთა რიცხვმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან 100000-ს ბევრად გადააჭარბა. მათ შორის: იუგოსლავიიდან — 32 ათასი კაცი, ლიბანიდან — 28 ათასი კაცი, შრილანკიდან — 18 ათასი კაცი, ინდოეთიდან — 11 ათასი კაცი, სომალიდან — 10 ათასი კაცი და ა. შ.

აქვე უნდა ითქვას იმ სამწუხარო ატრიბუტის შესახებაც, რომელიც საერთოდ თან ახლავს ეთნოკონფლიქტებს: ეს არის საშინელი სისასტიკე და შეუბრალებლობა, ომის ყველა კანონის იგნორირება, რაც ხშირად წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანთა ფსიქიკაში და რომელიც მომავალ თაობებზეც ახდენს გავლენას. ეთნოკონფლიქტებს, რომელ ჯგუფსაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, წარმოშობის თავისი მიზეზები და ხასიათი გააჩნათ. ეს შეიძლება იყოს ისტორიულ-ტერიტორიული (ისრაელის და არაბული სამყაროს დაპირისპირება და აქედან გამომდინარე პალესტინის საკითხი, ქურთისტანის საკითხი და სხვა), სეპარატისტული ან სხვა ქვეყანასთან შეერთების სურვილი (აფხაზეთი. ყოფილი სამხ. ოსეთი, აგრეთვე ესპანეთის რიგი პროვინციები, კვებეკი, კორსიკა და სხვ.), ტომობრივი შუღლი და დაპირისპირება (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნიგერია, სუდანი და აფრიკის სხვა ქვეყნები), რელიგიური ასპექტი (ლიბანი, ჩრდ. ირლანდია, კვიპროსი და სხვ.) და ა. შ.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, XX საუკუნის მიწურულში ეთნოკონფლიქტების უმრავლესობას რელიგიური სარჩული უდევს საფუძვლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიაში აშკარად შესამჩნევი „რელიგიური აქცენტით“, უკვე რამდენიმე ათეული წელია გრძელდება. მკვეთრად გამოხატული რელიგიური შეფერილობა მიიღო ბალკანეთის კონფლიქტმაც, სადაც სერბთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებლები არიან, ხორვატთა უმრავლესობა — კათოლიკები, ხოლო ბოსნია-ჰერცოგოვინაში უპირატესად მუსლიმანები ცხოვრობენ. სერბები თვლიან, რომ ისლამურ სამყაროს ბოსნია-ჰერცოგოვინაში სურს ევროპაში პირველი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნა, ოსმალეთის იმპერიის რეანიმაცია. ამიტომ თუ კონფლიქტის დასაწყისში სერბები და ხორვატები ერთმანეთს ებრძოდნენ, ამჟამად უკვე ხშირ შემთხვევაში ერთად გამოდიან ბოსნიელი მუსლიმანების წინააღმდეგ.

მიმდინარე წლის დასაწყისში ინდოეთი შეაშანშარა ფანატიკოსი ნაციონალისტების გამოსვლებმა, რის მიზეზიც გახდა 1992 წლის 6 დეკემბერს პატარა ქალაქ აიოდხიაში მეჩეთის დანგრევა. ამას მოჰყვა არეულობები მთელ ქვეყანაში, რის შედეგადაც სულ აღარც ორი თვის განმავლობაში 1500 და დაიჭრა 4 ათას კაცზე მეტი.

რელიგიური აქსესუარებით არის „დამშვენებული“ კონფლიქტები კვიპროსსა და ლიბანშიც.

1974 წლის ზაფხულში თურქეთის ჯარების მიერ დამოუკიდებელი კვიპროსის რესპუბლიკის 37 პროცენტის ოკუპაციის და მისი დედაქალაქის — ნიკოზიის შუაზე გაყოფის შემდეგ, კუნძულზე მცხოვრებ ბერძნულ (ქრისტიანულ) და თურქულ (მუსლიმანურ) თემებს შორის გავლებული იქნა ე. წ. „ატილას ხაზი“ (შემდგომში მას „მწვანე ხაზი“ ეწოდა), სადაც წესრიგს დღემდე გაეროს სამშვიდობო ძალები იცავენ.

რაც შეეხება ლიბანის ცნობილ ტრაგედიას, ისიც 1975 წელს ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის მკვეთრი დაპირისპირებით დაიწყო. კონფლიქტის მიზეზად ის არის მიჩნეული, რომ საკომანდო პოზიციები ქვეყნის მართვაში ქრისტიანებს ეკავათ, როცა რიცხობრივად ქვეყანაში უმრავლესობას მუსულმანები შეადგენდნენ, ეს დაპირისპირება მალე შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზარდა, რის შემდეგაც მასში ახალი მხარეები ჩაებნენ: ლიბანის ჩრდილოეთ ნაწილში შეყვანილ იქნა სირიელთა ჯარები, ქვეყნის სამხრეთი ტერიტორია კი ისრაელის არმიამ დაიკავა. კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდნენ სამშვიდობო ძალები, რომლებიც ძირითადად აშშ-ით იყვნენ წარმოდგენილნი.

ბოლო წლებში კონფლიქტი ლიბანში თითქოს ჩაცხრა, ბევრმა იგი ამოწურულადაც ჩათვალა, მაგრამ უკანასკნელ ხანს მან ახალი ძალით იფეთქა, რითაც კვლავ განუსაზღვრელი ვადით გადადო მისი საბოლოო მოწესრიგების პერსპექტივა.

დღეს ბევრი ქვეყანა ცდილობს ეთნიკური სირთულეები დამოუკიდებლად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე გადაწყვიტოს და ზოგჯერ წარმატებით ახერხებს კიდეც ამას, რის ნათელ მაგალითსაც ყოფილ ჩეხეთ-სლოვაკეთი წარმოადგენს.

იმ სისხლიანი ტრაგედიების ფონზე, რომელიც მსოფლიოს მრავალ რეგიონში დატრიალდა, ჩეხეთ-სლოვაკეთის „ხავერდოვანი განქორწინება“ შეიძლება საკითხის ცივილიზებულად გადაწყვეტის ნიმუშად ჩაითვალოს.

თავდაპირველად ჩეხეთში ბევრი თვლიდა, რომ მათ მიერ შეთავაზებული „უფრო თავისუფალი ფედერაციის“ ვარიანტი მისაღები იყო სლოვაკებისათვისაც და მიაჩნდა, რომ „თავისუფალი ფედერაცია“ ის ზღვარი იყო, რომლის უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ბრნოში გამართულ შეხვედრაზე სლოვაკებმა მოითხოვეს კონფედერაციული ხელშეკრულების გაფორმება, რაზედაც ჩეხებმა უარი განაცხადეს. თავის პოზიციებზე დარჩა ორივე მხარე პრაღაში მიმდინარე მოლაპარაკების დროსაც. რაც დრო გადიოდა, ნათელი ხდებოდა, რომ მხარეთა პოზიციები უფრო და უფრო შორდებოდა ერთმანეთს: ჩეხებისათვის მიუღებელი იყო კონფედერაცია, სლოვაკებისათვის — ფედერაცია. რჩებოდა მესამე და საბოლოო ვარიანტი — შემუშავებულიყო სახელმწიფოს გაყოფის მექანიზმი. 1992 წლის 25 ნოემბერს ქვეყნის ფედერალურმა კრებამ მიიღო კანონი ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციის არსებობის შეწყვეტის შესახებ, რითაც ეს ურთულესი პრობლემა — სახელმწიფოს გაყოფა — სერიოზული, არსებითი კონფრონტაციის გარეშე გადაიჭრა.

დახლოებით იგივე გზით მიდის კვებეკიც, მაგრამ კონფლიქტების რეგულირების ასეთი მშვიდობიანი გზა, პრაქტიკულად, მეტად იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეები ძალადობის საშუალებით ცდილობენ თავიანთი მიზნების რეალიზებას, მაგრამ ამით ჩიხში აქცევენ კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლებლობას, იწვევენ უდანაშაულო ადამიანთა გაუმართლებელ სისხლისღვრას და პრობლემას ძალაუნებურად საერთაშორისო ყურადღებას ანიჭებენ.

ასეთ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ხდება შუამავლად საერთაშორისო ინსტიტუტების ჩარევა.

გასული წლის ზაფხულში ჰელსინკში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული წინადადებებისა, მათ შორის ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების სფეროში, ბევრს გარკვეული იმედები ჰქონდა, მაგრამ განვლილმა წელმა გვიჩვენა, რომ მდგომარეობა ბევრად არ გაუმჯობესებულა. მსოფლიოს მრავალ რეგიონში ეთნოკონფლიქტებში კვლავ იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფიზიკური ... ...

დასასრული

კაცს ძალით აგიჟებენ, თითქოს გიჟების დეფიციტი გვქონდეს...

დამიბარეს. შემხვდა გამომძიებელი გვარაძე, რომელმაც მითხრა, ახათიანზე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა წავიდეთო. წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა. ისნის მეტროსთან საშუალება მომეცა ხალხისთვის მიმემართა, რომ იძულებით მიმყავდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. სადგურთან ბევრი ხალხი იყო. იმედი მქონდა, რომ ისინი შეძლებდნენ ჩემს დახსნას. ფსიქიატრიული საავადმყოფოს გზა ეშაფოტის საფეხურებად მეჩვენებოდა. მახსენდებოდა კისერზე გამობმული თოკი, სანიტრის მუშტები.

ერთმა ხანში შესულმა კაცმა მითანაგრძნო, ნუ გეშინია შვილო, იქ გიმკურნალებენ და მოგარჩენენო. საწყალი ბიჭი ცოდო არისო, ჩურჩულებდნენ ზოგიერთები.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მივედით. ამჯერად კომისიაზე გამატარეს. ერთ-ერთი ექიმი მეუბნება, არ გინდა ინვალიდობა, უშრომელად 4 000 კუპონს აიღებო. კომისია გავიარე და დასკვნის გამოტანამდე სახლში გამიშვეს.

24 აგვისტოს ბევრი ვიარე. ვიყავი პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ ვერავის შევხვდი, არავინ მიმიღო. არავის იმედი აღარ მქონდა და არც ის ვიცოდი, რა მექნა. ერთ-ერთ გამვლელს ტროლეიბუსის გაჩერება ვკითხე. იგი აკაკი ბაქრაძე აღმოჩნდა. ვიფიქრე, რომ ეს ბედნიერი შემთხვევა იყო, ღვთის წყალობა, რაც გინდათ დაარქვით. ვთხოვე, რომ მოესმინა ჩემთვის. ხმის ამოუღებლად მისმენდა ბოლომდე. აუცილებლად გიშუამდგომლებთ რესპუბლიკის პროკურორთანო, მითხრა მან. თქვენ კი დაწერეთ, ყველაფერი დაწერეთ და მას მიმართეთო.

მე მჯერა, რომ ბატონი აკაკი დამეხმარება და დიდი მადლობელი ვარ მისი, მაგრამ ისევ მივიღე პოლიციიდან უწყება. უწყებას ხელს აწერს გამომძიებელი გვარაძე. პოლიციაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება ძალით წამათრიონ, გამოცხადების შემთხვევაშიც იგივე შეუძლიათ გააკეთონ. პოლიციაში 27 აგვისტოს უნდა გამოვცხადდე. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კი სამი დღეც საკმარისია, რომ იგივე განმეორდეს. იქ ველარავინ დამიცავს."

სტუმარი რომ გავაცილე, ოთახში დავბრუნდი. თვალწინ მედგა მისი მზერა, რომელშიც იმედის სხივი ჯერ კიდევ გამოკრთოდა სასოწარკვეთილების ბურუსიდან. ჯონ გოლზუორთის ერთი ნოველა გამახსენდა — „ტუსაღი". ნოველის გმირი ხატუსალოს ათვალიერებს. იგი შეხვდება კაცს, რომელსაც მრავალი წელი გაეტარებინა აქ, ჯოჯოხეთურ პირობებში. მის სახეს ადამიანობის ნიშანწყალიც არ შერჩენოდა. და ნოველის გმირი ამბობს, რა უნდა დაეშავებინა ამ ადამიანს ისეთი,ასე ულმობლად რომ გაუსწორდნენო, განა ნაკლები დანაშაულია ამგვარი სისასტიკე. მართლაც ვინაა დამნაშავე ტუსაღი თუ ის საზოგადოება, რომელმაც მას სატუსაღოში გამომწყვდეულს ადამიანობა წაგლიჯა.

ჩვენთვის უცნობია რა პრეტენზიები გააჩნიათ პოლიციას და მის გამომძიებელს პაატა კახიანისადმი, არ ვიცით ვინაა რუსთავის მესამე რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ვლადიმერ გირინი, ვერც იმის შესახებ მოგახსენებთ, რა უფლებით იყენებს ფსიქიატრიული საავადმყოფოს პერსონალი „მკურნალობის" ზემოთ აღწერილ მეთოდებს. ჩვენ არც ბრალმდებლის ფუნქციებს ვკისრულობთ და არც გამომძიებლისა, მაგრამ შეგნებულად გადავაჭარბეთ ჩვენს უფლებებს და ვუთხარით პაატა კახიანს, რომ ამ სტატიის გამოქვეყნებამდე პოლიციაში არ მისულიყო. ვუთხარით, რადგან გვჯერა, ამჯერად საზოგადოება არ დაუშვებს დაუშვებელს.

დღეს ჩვენი ქვეყანა უმძიმეს პირობებშია. ახლახან შეჩერდა ომი, არის დაძაბულობის მრავალი კერა. ასეთ მდგომარეობაში იოლად იმარჯვებენ ძლიერები, ითრგუნებიან სუსტი ადამიანები, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ყველაფერს აქვს დასასრული, რადგან არასოდეს წყდება, არასოდეს მთავრდება მხოლოდ ერთი ომი, ესაა დაუსრულებელი ომი უსამართლობასთან.

P. S.

წერილი ასაწყობად იყო გამზადებული, როცა რედაქციაში პაატა კახიანის დედა შემოვიდა. გვითხრა, რომ მისი შვილი დილით ავტომატებით შეიარაღებულმა პოლიციელებმა წაიყვანეს და დღემდე უცნობია მისი ადგილსამყოფელი.

ჩვენ ვთხოვთ ქალაქ რუსთავის შესაბამის სამსახურებს მოგვაწოდონ ინფორმაცია მის შესახებ. აქვე გეტყვით, რომ სტატიაში მოვერიდეთ კატეგორიულ ტონს, გარკვეული მოსაზრებებით არ დავასახელეთ გარკვეული პიროვნებები, ჩვენ ვესაუბრეთ პაატა კახიანს. იგი ნორმალური, აბსოლუტურად ჯანმრთელი და ვფიქრობთ, პატიოსანი ადამიანია. გეტყვით იმასაც, რომ ჩვენი რედაქცია ყველანაირად ეცდება აღნიშნულ ფაქტებზე ცნობების მოძიებას და საჯაროზე გამოტანას. დარწმუნებული ვართ, არაფერი მიიჩქმალება.

ვახტანგ კომახიძე

გაზეთ «საქართველოს» რედაქციას

გაზეთ „საქართველოს" 21 აგვისტოს ნომერში სხვა პარლამენტის წევრების ინტერვიუებს შორის დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუც. ჩემი გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ნაცვლად ორად-ორი წინადადებისა, რომლითაც მე ვუპასუხე კორესპონდენტის შეკითხვებს, გაზეთში სრულიად მოულოდნელად ვიხილე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მეკუთვნის მე. კორესპონდენტმა მკითხა, როგორი უნდა იყოს თქვენი აზრით ახალი მთავრობაო. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი სურვილია ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც არ წაიყვანს საქართველოს სნგ-ს ეკონომიკური კავშირისკენ და გაატარებს ეკონომიკურ რეფორმას. მეორე კითხვაზე — როგორი მთავრობა შეიქმნება რეალურად — ვუპასუხე, რომ თუ შევარდნაძე შესძლებს მისთვის სასურველი მთავრობის შექმნას, ეს მთავრობა, მოსალოდნელია, რომ იყოს კომუნისტურ-ნეოკომუნისტური. გაუგებარია, რაში დასჭირდა კორესპონდენტს ჩემს მაგივრად დანარჩენი ტექსტის შედგენა, მაგალითად ისეთ საკითხზეც, როგორიცაა ყოფილი მინისტრთა კაბინეტის წევრების შეფასება, რაზეც არც უარყოფითი და არც დადებითი აზრი არ გამომითქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ თემაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი.

გამოვთქვამ ჩემს პატივისცემას თქვენი გაზეთისადმი და დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც უნებლიე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რაზეც შესაძლოა, არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ ჩემთვის არ არის სასურველი სხვისი სიტყვების ჩემთვის მოწერა.

პატივისცემით თ. ჩხეიძე

რედაქტორისაგან: კორესპონდენტს, რომელმაც ასეთ უხერხულობაში ჩააგდო რესპონდენტიცა და რედაქციაც, გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

რეპლიკა

სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ამ რეპლიკის დაწერა. არ მინდოდა საქართველოში ფესვგამდგარ აუგის თქმის ბუმში თუნდაც მცირე „წვლილი" შემეტანა. ამას გარდა იყო სხვა მიზეზიც. ადამიანს, რომლის ერთი შეცდომაც უნდა გამეკრიტიკებინა, თავისი მოღვაწეობის გამო დიდ პატივს ვცემ. მიუხედავად ამისა, არისტოტელესავით ვერც მე მოვერიე თავს და ჭეშმარიტება მაღლა დავაყენე.

საქმე ეხება გაზეთ „ნოვი ვზგლიადის" 70-ე ნომერში დაბეჭდილ მცირე ინტერვიუს, სადაც მომღერალი თამარ გვერდწითელი, გამოხატავს რა თავის დამოკიდებულებასმუსიკა-სიმღერის სხვადასხვა ჟანრებისადმი, ისე, სხვათა შორის ამბობს — საქართველოში ქალებს სუფრასთან სიმღერა ეკრძალებათ, თუმცა მე, როგორც გამონაკლისს ამის უფლებას მაძლევენო.

ფსიქოლოგიურად ეგებ აგვეხსნა კიდეც ქალბატონ თამა-[illegible] ეგზოტიკურ სატურველში გაახვიოს ჩვენი წეს-ჩვეულებები და ამით ხელსაყრელი ფონი შექმნას თავისი პოპულარობისთვის, მაგრამ მეორე მხრივ — არის თუ არა ეს სიმართლე?

სად ნახა ქალბატონმა თამარმა, რომ ქართულ სუფრაზე ქალს ვინმემ სიმღერა აუკრძალა. ხომ არ ასხამს წყალს მისი ნათქვამი იმათ წისქვილზე, ვინც საქართველოს მრავალსაუკუნოვან ცივილიზაციას ეჭვის ქვეშ აყენებს. და ჩვენი, როგორც ერის იმიჯი პაპუასების დონემდე დაჰყავს. რუსული პრესა ხომ ასწორედ ამაზეა გამეცადინებული და რატომ უნდა შევუწყოთ ხელი ამ საქმეში.

ჯემალ კასრაძე

ფირმა „აგა" გთავაზობთ:

წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ბლანკების, სავიზიტო ბარათებისა და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის ორიგინალ-მაკეტების მომზადებას სამაგიდო ტიპოგრაფიის კომპიუტერული სისტემის საშუალებით.

რუსთაველის 48 ტელ: 93—83—07, 29—49—60

ვცვლი ვარკეთილი-3 პირველი მიკრორაიონიდან (მეტროსთან ახლოს) ოთხოთახიან ბინას 9 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე 3-ოთახიან და ერთ ოთახიან ბინებზე (3-ოთახიანი სასურველია მეტროსთან ახლოს) ტელ:93—18—41

იყიდება ფირმა „ქენონ"-ის უახლესი მოდელის პროფესიონალური ფოტოკამერა. დარეკეთ: 93—18—41

იყიდება: პიანინო „საქართველო" 1961 წელს გამოშვებული. ქართული ენციკლოპედია, მსოფლიო ლიტერატურა 200 ტომეული. ცნობებისათვის დარეკეთ: 36—37—33 3 საათის შემდეგ

იყიდება ოთხი ხის ჩარჩო (სიმაღლე 163 სმ, სიგანე — 111) ფრამუგებით და 8 ფანჯრით. მსურველებმა დარეკეთ ტელეფონზე: 60—60—36

გაზეთ „საქართველოს" რედაქციას ესაჭიროება მდივან-მემანქანე

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ჟურნალში, ხოშარაულის 29. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელნაწერ მასალებს ნუ შემოგვთავაზებთ.

გაზეთის
ინდექსი 66447
ფასი
120 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ:
93—83—07, 29—49—60